პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, ვ. წ. ს. ა. და
მაზრ. [illegible]
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის.
10—53. მდივნის.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. [illegible] სტრიქონი. [illegible] განცხადება 5 მან. [illegible] განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 [illegible]

№ 121 (976) ხუთშაბათი, 29 მაისი 24 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 4 კაპ. (500 მილ.)
№ 121 (976)

დღიური

— ივლისიდან ძალაში შედის კანონი იაპონელების ამერიკაში შესვლის შეზღუდვის შესახებ.

— გაიხსნა გერმანიის რეიხსტაგი; მარქსის მთავრობა გადადგა.

— იტალიის მეფე ჩადის ლონდონში [illegible] მოსალაპარაკებლად ევროპის საქმის შესახებ.

— საფრანგეთის სოციალისტების უმრავლესობა [illegible] მთავრობაში შესვლის.

— პუანკარეს პრესა აუწყებს, რომ საფრანგეთი ამ დღეებში ცნობს საბჭოთა კავშირს.

— პოლონეთიდან მოსკოვში ჩამოიტანეს ლენინის არქივი.

დღეს, ხუთშაბათს, მაისის 29, საღამოს 7 საათზე
დანიშნულია საქართ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა
საქ. ცაკის მდივანი [illegible]

ახალგაზრდა კომუნისტების თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარასკევს, 30 მაისს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი წამოაყენონ თვითონ რაიკომებში და უჯრედებში.
თბილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ

საბჭოთა წესწყობილების პირობებში ფართო გასაქანი მიეცა [illegible] თვითმოქმედებას, მისი ინიციატივის ამოძრავებას. ვერ ვნახავთ ვერც ერთ კუნჭულს, მიყრუებულ ადგილს ჩვენი ქვეყნისას, რომ გაცხარებული მუშაობა არ წარმოებდეს. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვდის პროვინციიდან და ვაქვეყნებთ, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს ადგილი გაზეთში, მჭერმეტყველად მოწმობენ ამაზე.

ახალი ხიდების აგება, გზების გაყვანა, არხების გაჭრა, ძველის შეკეთება, სახალხო სახლების, [illegible] სახლების აშენება და სხვა, თეატრები, სამკითხველოები, ელექტრო-სადგურები და სხვ. სხვ.—აი რა საქმეს მოსდებია [illegible] ხალხი და თითქოს [illegible] სურვილით არის გამსჭვალული, რომ ერთი კუთხე, ერთი სოფელი, დაბა თუ ქალაქი მეორეს არ ჩამორჩეს. ყოველ ამ სა[illegible] შრომა და ფული ესაჭიროება და ჩვენი ხალხიც არ იშურებს მათ გაღებას. თავისთავად ცხადია, რომ მთავრობის [illegible] ეს ფართო აღმშენებლობითი მუშაობა ვერ ჩატარდება და ისიც შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობს მას სახელმწიფოს მწირე ხაზინიდან. ყოველისფერი ეს ფრიად სასიხარულოა და ვის შეუძლია გულგრილად უყუროს მთელი ხალხის ენერგიის ასეთ ამუშავებას და არ გაუხაროს მას. მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ მივაქციოთ ყველას ყურადღება ერთ გარემოებაზე.

სრულიად დაუშვებელია, რომ მუშაობა უგეგმოთ, „უანგარიშოთ" და შედეგების გაუთვალისწინებლად იწყებოდეს და ტარდებოდეს. არ არის საკმაო მხოლოთ კარგი სურვილები და საქმის დაწყებაც კი. უმთავრესია ის, თუ რამდენად შესაძლებელია დღევანდელ პირობებში ყოველისფერს ერთბაშად და ყველგან მოვკიდოთ ხელი, რამდენად არის მოსახერხებელი, რომ ეს თუ ის საქმე არა მარტო იყოს დაწყებული, იქნეს ადგილობრივ არამედ ადგილობრივვე [illegible]თით დაბოლოებული და გამა[illegible]ებით დაგვირგვინებული.

რომელიმე მეზობელი კუთხის მიბაძვა, კარგის გადმოღება კარგია, საქებია, მაგრამ ანგარიში [illegible] საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება განზრახული საქმის დაბოლოება სახელმწიფო ხაზინის დაუხმარებლათ.

როდესაც, ვთქვათ, რომელიმე [illegible]აღმასკომი, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით წაქეზებული, იწყებს ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება, ეჭვს გარეშეა, გარკვეული კუთხისთვის, მაგრამ იმავე დროს მთელი [illegible]ისთვის არა [illegible] რა [illegible] ერთი თუ ორი ასეული [illegible] გარდა და მხოლოთ [illegible] სურს მოჰკიდოს საქმეს ხელი, რომ მთავრობა გაუწევს შემდეგ საჭირო დახმარებას—ეს არის საქმისათვის, შეიძლება გულწრფელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა სერიოზული მიდგომა. არ შეიძლება ასეთი საქმე იქნას დაწყებული ზემოხსენებული თანხით, და კიდევ იმ ანგარიშით, რომ წარმოდგენების მართვით (ასეთი ცნობაც გვაქვს) და შემოწირულებით მოვახერხებთ საჭირო თანხების შეკრებასო.

უდავოთ უნდა ვაღიაროთ ის დებულება, რომ ქვეყნის სიღარიბის, მისი ფინანსებისა და საზოგადოთ მეურნეობის ჯერ კიდევ სათანადოთ მოუწყობლობის პირობებში, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ მხოლოთ აუცილებლათ საჭირო საქმე, ურომლისოთ არსებობა არ შეგვიძლია. ფართო პროგრამა აღმშენებლობისა უნდა დაისახოს სამეურნეო ცხოვრების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, მიუხედავათ საგრძნობი წარმატებისა, რაც თამამათ შეგვიძლია აღვნიშნოთ უკვე დღეს.

ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის დასახასიათებლათ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. ყველამ იცის, უნდა იცოდნენ ეს ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ყველა ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა, რომ ფულის რეფორმა მოითხოვს ჩვენგან უკიდურეს მომჭირნეობას, ხარჯების შეკვეცას. ყველა სახელმწიფო დაწესებულებები ადმინისტრატიული, სამეურნეო თუ კულტურული იძულებული არიან მაქსიმალურათ შეამცირონ თავიანთი გასავალი და ჩადგნენ იმ ფარგლებში, რომლებიც მათ „მიზომილი" აქვთ წინდაწინვე ჩვენი საერთო შესაძლებლობის მიხედვით. ვერც ერთმა დაწესებულებამ ვერ უნდა გადაწყვიტოს ამა თუ იმ, თვით უმნიშვნელო, ხარჯის გაწევა თავისი საანგარიშო ბალანსის ყველა საშემოსავლო წყაროების განხილვის და ასჯერ „გაზომვა" გათვალისწინების გარეშე. ერთათ ერთი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს მან ამ შემთხვევაში, არის ის, თუ რამდენათ შეუძლია აიტანოს მისმა ბიუჯეტმა გარკვეული ხარჯი ისე, რომ არ დაირღვეს წონასწორობა ამ ბიუჯეტის, ერთი სიტყვით, რამდენათ შეუძლია მას მხოლოთ საკუთარი შემოსავლით დაფაროს თავისი გასავალი და „ვალიცა" (რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს, ხაზინის) შეუყურე არ იქნეს.

ამ სიფრთხილეს, ასეთ მომჭირნეობას გვავალებს მდგომარეობა, ფულის რეფორმა, საზოგადოთ ჩვენი დღევანდელი მეურნეობის პირობები.

ეს არ უნდა დაგვავიწყდეს ყოველდღიური მუშაობის დროს, ჩვენი აღმშენებლობითი გეგმების შედგენის და გარჩევის მომენტებში.

დავისახოთ განსახორციელებელი მიზნები, არ „წავეპოტინოთ" იმას, რისი გაკეთება, დაბოლოება გაგვიჭირდება საკუთარი ადგილობრივი საშუალებით. ყოველ შემთხვევაში სასტიკათ შეთანხმებული უნდა იქნეს ცენტრთან თითეული საქმე, რომლის დაწყებას ვკისრულობთ ადგილობრივ. სხვა უკეთეს პირობებში ჩვენ, რასაკვირველია, ამაზე არ დაგვჭირდებოდა შეჩერება, მაგრამ დღეს ერთი წუთითაც ვერ გავუშვებთ მხედველობიდან ყოველივე ზემოთქმულს.

საბჭოთა კავშირი და გერმანია

როგორც მკითხველებს ეხსომებათ ერთი თვის წინათ გერმანიის პოლიცია თავს დაესხა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას ბერლინში და იმის მოტივით, თითქოს იქ იმალებოდა დამნაშავე გერმანელი კომუნისტი, [illegible] და გაჩხრიკა საქმის [illegible]. ამასთან ერთად პოლიციამ სცემა წარმომადგენლობის მოსამსახურეებს, დააპატიმრა ისინი, რის შემდეგ [illegible] იქნენ მიცემული.

დამალული კომუნისტი ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინეს, მაგრამ არა წარმომადგენლობაში, არამედ კერძო მოქალაქის ბინაზე და, როგორც არკვევს გერმანიის კომპარტიის უკანასკნელი განცხადებიდან, [illegible] პროვოკატორი, რომ[illegible]ც ისარგებლა მარქს-შტრეზემანის მთავრობამ, რათა საბაბი ჰქონოდა [illegible] სავაჭრო წარმომადგენლობის ჩხრეკისა.

[illegible] ასე თუ ისე [illegible] გერმანიის მთავრობის საქციელი, [illegible] ეს თუ ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ის, როდესაც [illegible] „პოგრომს" ჩვენ სავაჭრო წარმომადგენლობაში, მაგრამ [illegible] და საქმე [illegible] ურთიერთობასთან, რომლის მნიშვნელობა ორი ქვეყნის დამოკიდებულების ფარგლებს [illegible] მნიშვნელობას [illegible] საერთაშორისოთვის. რადგან, [illegible], რომ, თუ ჩვენ არ [illegible] სრულ დაკმაყოფილებას [illegible]საგან, თუ ჩვენს წარმომადგენლობას საშუალება მოეცემა მშვიდი, ნორმალური მუშაობისა ერთ ქვეყანაში—იგივე არ განმეორდება [illegible], სხვა სახელმწიფოებში, რომლებთანაც უკვე გვაქვს ნორმალური დამოკიდებულება ან დამყარდება ახლო მომავალში ასეთი დამოკიდებულება. [illegible] კიდევაც ცხადით მოწმე [illegible] ფაქტის, რომელსაც მსგავსი ხასიათი აქვს.

როგორც ამხ. კრასინი განაცხადა პარტიის ყრილობაზე [illegible] მოხდა შემდეგი ამბავი. [illegible] სავაჭრო ხელშეკრულების რომელიც დადებულია კანადის მთავრობასთან, ამ ქვეყანაში გაიგზავნა [illegible] სავაჭრო დელეგაცია [illegible] მთავრობით. ეს უკანასკნელი იტყობინება დღეს, რომ კანადის [illegible] ართმევს მას კონსულის უფლებებს და უსპობს საშუალებას [illegible] კავშირი საბჭოთა მოქალაქეებთან კანადაში. მიზეზი? გერმანიამ [illegible] საბჭოთა მთავრობის [illegible] გადაწყვეტილებაში.

ამნაირათ „ავადმყოფობა" გადამდები [illegible] ქვეყნისათვის, ცხადია, რომ ის მაგალითი ახალი ქვეყნებში, თუ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მთავრობები „მიჰბაძავენ" ერთ მშვენიერ დღეს შესწყვეტენ ჩვენ წარმომადგენლობათა ნორმალური მუშაობა და არსებული წესების [illegible], მოსპობენ ხელშეუხებლობას. ამიტომ არის, რომ კონფლიქტს გერმანიასთან აქვს არა მარტო ადგილობრივი ხასიათი. ამიტომვე ცხადია ისიც, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ გარკვეული დაკმაყოფილება და გარანტია, რათა მსგავსი მოვლენები არ განმეორდნენ მომავალში.

როგორია ჩვენი შანსები ამ მხრივ? როგორც სამართლიანათ აღნიშნავს იგივე ამხ. კრასინი, ჩვენი მდგომარეობა ამ კონფლიქტში უფრო ხელსაყრელია, ვიდრე გერმანიის. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი არ გვესაჭიროებოდეს, მაგრამ ცხადია, რომ გერმანიის პოზიცია უფრო სუსტია, რადგან ჩვენ ვართ ისეთი საქონლის მიმწოდებელი ამ ქვეყნისათვის, რომელსაც ის ან ვერ მიიღებს ანდა მიიღებს გაცილებით უფრო ძვირ ფასებში, რაც ცუდ გავლენას იქონიებს მის გაღატაკებულ მასიურ მომხმარებლებზე. ეს არის პური, გარდა ამისა ამ პურის მაგიერ ჩვენ მოგვაქვს იქიდან სხვა და სხვა სამეურნეო და სამრეწველო [illegible] გვისრულდებიან საქონლითვე მაშინ, როდესაც ამერიკა მოითხოვს ოქროს. მაგრამ ვისთვის შეადგენს დღეს საიდუმლოებას, რომ ამის საშუალება არა აქვს გერმანიას თავის საკონტრიბუციო ვალდებულებათა გამო. ხოლო ჩვენი პურის გასაღებათ კი გზა ხსნილია სხვა ქვეყნებისკენაც.

გარდა ამისა ჩვენი დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან დღეს გაცილებით უკეთესია, ამ მხრივ ჩვენ ბევრათ უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, ვინემ რაპალოს ხელშეკრულების დადების დროს იყო, იმ ხელშეკრულების, რომლის ძალით მოიწვიეს ბერლინში ჩვენი სავაჭრო და სხვა წარმომადგენლობანი. მაშინ [illegible] ამ სახელმწიფოების სავაჭრო სამრეწველო წრეებში ინგლისში, იტალიაში და თვით საფრანგეთშიც, რომლებიც [illegible] გერმანიას და ფიქრობდენ, რომ ეს უკანასკნელი დაიკავებდა თავისი წარმოებით ჩვენი კავშირის თავისუფალ ბაზარს. თუ დღევანდელი კონფლიქტი გერმანიასთან მალე და ისიც ჩვენთვის ხელსაყრელათ არ ამოიწურა, ცხადია საჭირო საქონლების მიმწოდებლებში ჩვენ დანაკლისი არ გვექნება და ასე თუ ისე დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას.

ამნაირათ ჩვენ კავშირს უფრო მტკიცე ეკონომიური პოზიცია აქვს, ვიდრე მოწინააღმდეგეს ამ შემთხვევაში.

ხოლო ის სურათი, რომელიც იხატა მარქს-შტრეზემანის მთავრობამ ახალი რეიხსტაგის გახსნის პირველ დღესვე საკმაოთ დამაფიქრებელია მისთვის. მთავრობა ვერ შესძლებს არ გაუწიოს ანგარიში იმას, რომლებიც გადაჭრით მოითხოვენ მისგან დათმობას საბჭოების მიმართ და მათთან შეთანხმებას. ეს უბრალო [illegible] სურვილი კი არ არის კომუნისტების, არამედ ამაში დაინტერესებულია გერმანიის მთელი მშრომელი მასა.

გერმანიაზე უფრო ჩვენ შეგვეძლია ვიცადოთ!

ლონდონის კონფერენციის მუშაობა

დაიწყო ვალების საკითხის წინასწარი განხილვა.

ინგლისის დელეგაციამ გამოაქვეყნა თავისი აზრი ვალების შესახებ.

კონფერენციამ მიიღო ჩვენი დელეგაციის ფორმულიროვკა ვალების საკითხის განხილვის შესახებ.

ლონდონი, 27 მაისი. დღეს ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის პლენარულ სხდომაზე პონსონბის თავმჯდომარეობით კვლავ ირჩეოდა პრეტენზიების საკითხი.

ვალების საკითხი

ოფიციალური ცნობის თანახმად საბჭოთა დელეგაციამ პირველ ყოვლისა კითხვა დაუსვა ბრიტანეთის დელეგაციას, მისაღებია თუ არა უკანასკნელისათვის საბჭოთა დელეგაციის განცხადება წინანდელ სხდომაზე იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ [illegible] ომამდის არსებულ ვალების გადახდაზე სრული მათი რაოდენობით.

ბრიტანეთის დელეგაციამ უპასუხა, რომ ეს განცხადება მიუღებელია.

საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ თუ ბრიტანეთის მთავრობას მართლა განზრახული აქვს დაჟინებით დაემყაროს იმ ფორმულას, რომელიც აიძულებდა საბჭოთა მთავრობას გადაეხადოს ომამდის არსებული ვალები სრული რაოდენობით და პროცენტებით განვლილი დროისათვის, მაშინ ეს ფაქტი მიიღებს იმ ზომამდე დიდ მნიშვნელობას, რომ [illegible] გაძნელდება, სანამ სხვა საკითხებზე გადავიდოდეთ, საბოლოო შეთანხმების მიღწევა ამ მხრივ. [illegible] ხდება, რომ თუ პრეტენზიების მხოლოდ ერთი ჯგუფის საკითხის გადაჭრისათვის საჭირო იქნება საბჭოთა მთავრობის იმ ვალდებულებების თავის თავზე მიღება, რომლებიც საგრძნობლად აღემატება საბჭოთა ბიუჯეტის გადახდის უნარიანობის ფარგლებს და საბჭოთა კავშირის ეხლანდელ ეკონომიურ შესაძლებლობას,—მაშინ საბჭოთა დელეგაციას საშუალება ესპობა შეეხოს პრეტენზიების სხვა ჯგუფების განხილვას.

ბრიტანეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მას განზრახული არა აქვს წარუდგინოს საბჭოთა მთავრობას [illegible] მოთხოვნილებები ომამდე არსებულ ვალების შესახებ; დელეგაცია არ ფიქრობს, რომ ეს ვალები გადახდილი უნდა იქნეს სავსებით და დაუყოვნებლივ; ამგვარად ბრიტანეთის დელეგაციას სურს გამოარკვიოს, რომ ომის წინანდელი ვალები წარმოადგენენ პრეტენზიების განსაკუთრებულ კატეგორიას. ომამდი არსებული ვალების გადახდა, საბჭოთა დელეგაციის წინადადებების თანახმად, დამოკიდებული იქნება სესხის საქმის მოგვარებაზე, მაშინ როცა სხვა პრეტენზიებს არ აქვთ კავშირი ამ სესხთან. ბრიტანეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ სამართლიანი იქნებოდა პრეტენზიების თვითეული ჯგუფის ცალ ცალკე განხილვა.

საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა ეცნობოს მას, რაც შეიძლება დაჩქარებით, თუ რა საზღვრებში სთვლის ბრიტანეთის მთავრობა პასუხისმგებლად საბჭოთა მთავრობას ომამდე არსებულ ვალების საკითხში.

კერძო პრეტენზიები

პრეტენზიების კერძო საკითხების შესახებ საბჭოთა დელეგაცია ყოფს ორ ჯგუფად: ფულის პრეტენზიები და პრეტენზიები ნაციონალიზაცია ქმნილ საკუთრების შესახებ. საბჭოთა დელეგაციის განცხადებით, ფულის პრეტენზიების საკითხი [illegible]. ასეთია, მაგალითად, საკითხი იმ ბანკების აქტივების და პასივების შესახებ, რომლებიც მოხვდნენ ნაციონალიზაციაში. აქტივი უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ბანკების ყოფილ მეპატრონეების მიერ უცხოეთში ახალ წარმოებების მოსაწყობად. ასეთ შემთხვევებში უსამართლობა იქნებოდა, რომ საბჭოთა მთავრობას ეკისრა თავის თავზე სათანადო ვალდებულებები.

[illegible] აზრი იბადება კერძო საკუთრების შესახებ კერძო [illegible] პრეტენზიების განხილვის დროს. ამ შემთხვევაში საბჭოთა დელეგაცია [illegible] საერთო წინადადებით, რომელიც გამოიხატება შემდეგში: „ორთავე მთავრობა გამოარკვევს საერთო ჯამს დასაბუთებულ და ცნობილ წვრილ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, განსაზღვრავს რა მაქსიმალურ თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს პრეტენზიების თვითეულ ცალკე ჯგუფის მიხედვით, ამასთან ერთად ამ საკითხში შეთანხმებით დამტკიცებისას უქმდება 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების მე 10-ე მუხლი და ძალაში შედიან ბრიტანეთში საბჭოთა მთავრობის საკუთრების უფლებები".

ბრიტანეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის დაწვრილებით განიხილავს ამ ფორმულას; ბრიტანეთის დელეგაციამ დასვა საკითხი, იქნება თუ არა ცნობილი მხოლოდ წვრილი პრეტენზიები? საბჭოთა დელეგაციამ დადებითი პასუხი გასცა და სურვილი გამოსთქვა, რომ ამ პრეტენზიების რაოდენობა შეთანხმებული იქნეს ორივე მთავრობის მიერ.

მესაკუთრეების პრეტენზიები

პრეტენზიების შესახებ, რომლებიც წარმოიშვენ კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის გამო, საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა შემდეგი ფორმულიროვკა:

„საბჭოთა დელეგაციამ დაიწყო მოლაპარაკება ზოგიერთ ყოფილ მესაკუთრეებთან მათთვის კონცესიების სახით იმ მათ წინანდელ საკუთრების გადაცემის შესახებ, რომლებიც ეხლა ჩამორთმეულია. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ამ მოლაპარაკების დროს გამოძებნილი იქნება პრაქტიკული [illegible] ყოფილ მესაკუთრეთა საკითხის გადასაჭრელად. ამის გამო საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს გადადებული იქნეს ნაციონალიზაციით ქმნილ კერძო საკუთრების საკითხის განხილვა.

ბრიტანეთის დელეგაციის განცხადება

ბრიტანეთის დელეგაცია თავის განცხადებაში თანახმა გახდა, რომ საბჭოთა დელეგაციის შეხედულებანი ომამდი არსებულ ვალების, მესაკუთრეების პრეტენზიების და სხვა საკითხების შესახებ უნდა განხილულ იქნენ დიდი სიფრთხილით. ბრიტანეთის დელეგაცია სახეში მიიღებს საბჭოთა მთავრობის ეკონომიურ დაბრკოლებებს. დელეგაციას არ სურს წარუდგინოს საბჭოთა მთავრობას უსაზომო მოთხოვნილებები. ბრიტანეთის პოლიტიკა მიმართული იქნება, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმება ვალების გადახდის მეთოდების შესახებ ვალების თანდათანობით ლიკვიდაციის დაფარვის სახით. ბრიტანეთის დელეგაციას განზრახული აქვს პასუხი გასცეს საბჭოთა წინადადებებს განსაკუთრებული კონტრ-წინადადებებით, რომლებიც შედგენილი იქნება მუხლობრივად ისევე, როგორც განზრახულია მათი რედაქცია მომავალ სავაჭრო ხელშეკრულების ტექსტში. ეს კონტრ წინადადებები წარედგინება საბჭოთა დელეგაციას დაუყოვნებლივ იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მათი განხილვა კონფერენციის მორიგ სხდომაზე. ბრიტანეთის კონტრ წინადადებების გაცნობისას საბჭოთა დელეგაციამ სახეში უნდა იქონიოს, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ უჭირავს შეურიგებელ პოზიცია და ის მზათ არის იცნოს ყოველგვარი სხვა ცვლილების შეტანა, რომელსაც კი მოისურვებს საბჭოთა დელეგაცია.

ძალაუფლების ხელში აღებით ბრიტანეთის ეხლანდელმა მთავრობამ დაამტკიცა თავისი კეთილი განზრახვები საბჭოთა კავშირის მიმართ, იცნო რა უკანასკნელი. ამ კეთილ განზრახვებს ადგილი აქვს ახლაც. ბრიტანეთის მთავრობას გულწრფელად სურს ყველა სადაო საკითხების სასწრაფოდ გადაჭრა. ბრიტანეთის დელეგაცია იმედს გამოსთქვამს, რომ წინადადებების განხილვის დროს სახეში იქნება მიღებული საბჭოთა კავშირის მომავალი ეკონომიური აღორძინების საკითხი და ქვეყნის აუარებელი პოტენციალური სიმდიდრენი. ბრიტანეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ ეკონომიური შეთანხმება ეხლა გაცილებით უფრო გაადვილებულია, ვინემ ეს იყო 5 თვის წინ, როდესაც საკითხის უბრალო განხილვაც შეუძლებელი იყო.

რა ხდება გერმანიაში

გაიხსნა რეიხსტაგი; სხდომაზე კომფრაქციამ დემონსტრაცია მოაწყო

გადადგა მარქსის მთავრობა; ახალი მთავრობა ჯერ არ შემდგარა

პრეზიდენტმა ებერტმა სახალხო პარტიის ლიდერს გერგტს დაავალა მთავრობის შედგენა

ნაციონალისტური გაზეთები ამტკიცებენ, რომ გერგტი მთავრობას ვერ შეადგენს

მარქსის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი. 28 მაისი. ორშაბათს საღამოს ცენტრის პარტიების წარმომადგენელთა და ნაციონალისტთა შორის უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ მარქსის მთავრობა გადადგა. პრეზიდენტმა ებერტმა წინადადება მისცა მარქსს განაგრძოს მუშაობა ახალ მთავრობის ჩამოყალიბებამდე. პარლამენტის წრეებში ამბობენ, რომ ახალ კაბინეტში მარქსი დაიჭერს პრემიერ-მინისტრის პოსტს.

ახალი კაბინეტის შედგენის პერსპექტივები.

პარიზი. 28 მაისი. გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ ახალ კაბინეტის შედგენას ებერტი მიანდობს ნაციონალისტ ჰერგტს. პრესა ფიქრობს, რომ ჰერგტი ვერ შესძლებს ახალ კაბინეტის შედგენას. გაზეთების აზრით შესაძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს შედგეს მარქს-შტრეზემანის წინანდელი კომბინაცია.

მარქსი და [illegible].

ბერლინი, 28 მაისი, სამშაბათს პრეზიდენტმა ებერტმა ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა რეიხსტაგის ცალკე პარტიების ლიდერებთან. ებერტმა გამოიწვია ყოფილი კანცლერი მარქსი, რომელიც უთუოთ იკისრებს ახალ კაბინეტის შედგენას. როგორც ამბობენ მარქსი კიდევ ერთხელ შეეცდება შეუთანხმდეს გერმანელ ნაციონალისტებს და თუ ამ შემთხვევაშიაც ცდა არ გამართლდა, იგი წარუდგება რეიხსტაგს შეცვლილ კაბინეტით.

რეიხსტაგის გახსნა.

ბერლინი. 28 მაისი. სამშაბათს უხუცესმა საბჭოს თავმჯდომარემ, სოციალისტ დეპუტატმა ბოკმა გახსნა ახალ რეიხსტაგის სესია. მიუხედავათ იმისა, რომ მთელი სხდომა მიუძღვნა რეიხსტაგის ჩამოყალიბების საკითხებს, სხდომა მეტათ ღელვიანი იყო, რადგან კომუნისტებმა პრეზიდიუმის არჩევამდე აღძრეს საკითხი პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ.

უკიდურეს მემარჯვენეთა წინადადება.

ბერლინი. 28 მაისი. რეიხსტაგის უკიდურესმა მემარჯვენე ფრაქციამ შეიტანა წინადადება, რომლითაც მოითხოვს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებას, ახალ პრეზიდენტის დაუყოვნებლივ არჩევას, 1914 წლის შემდეგ გერმანიაში ჩამოსახლებულ ებრაელთა განდევნას გერმანიიდან და მათი ქონების კონფისკაციას.

გერმანიის ახალი რეიხსტაგის კომფრაქციის პრეზიდიუმი

ბერლინი 26 მაისი. ახალი რეიხსტაგის კომფრაქციის პრეზიდიუმში შევიდნენ: [illegible], კენენი, კატცი, როზენბერგი და რუთ-ფიშერი. კომფრაქციის მდივანია შტეკერი.

კომფრაქციის დემონსტრაცია რეიხსტაგში

ბერლინი. 27 მაისი. სამშაბათს გაიხსნა გერმანიის რეიხსტაგი. რეიხსტაგის შენობას იცავდენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ფარული პოლიციის აგენტები გაგზავნეს რეიხსტაგში, რომ სხდომის გახსნამდე დაეპატიმრებინათ ის კომუნისტი დეპუტატები, რომლებსაც პოლიცია დაეძებდა.

სხდომის გახსნისას რეიხსტაგში იყო 60 კომუნისტი დეპუტატი, თორმეტი კომუნისტი-დეპუტატი სხდომის გახსნამდე დააპატიმრეს. ამიტომ რეიხსტაგის პირველი სხდომა გადაიქცა კომფრაქციის დემონსტრაციად. კომუნისტებმა მოითხოვეს დაპატიმრებულ კომუნისტ-დეპუტატების და სხვა პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

სხდომის გახსნის დროს რეიხსტაგში ისმის კომუნისტების აღელვებული ხმები. დეპუტატების გვარების ცალცალკე დასახელების დროს კომუნისტები [illegible] და [illegible] ბოლოს რეაქციონერების გვარებს. კომუნისტმა კატცმა მოითხოვა პოლიტიკური ამნისტიის საკითხის სასწრაფოდ განხილვა. მემარჯვენეებმა და ცენტრმა პროტესტი განაცხადეს.

კომუნისტებმა [illegible] და კენენმა ხელმეორეთ მოითხოვეს კომფრაქციის წინადადების დაუყოვნებლივ განხილვა და მოიყვანეს ვრცელი ცნობები თუ რა პირობებში მოხდა კომუნისტ-დეპუტატების დაპატიმრება.

[illegible] პარტიის დეპუტატმა გრეფემ მხარი დაუჭირა კომუნისტების წინადადებას.

კომუნისტი კენენი მოითხოვს ამნისტიის საკითხის სასწრაფოდ განხილვას.

მდგომარეობა ირკვევა.

კომფრაქცია მღერის ინტერნაციონალს, მას უერთდება დამსწრე საზოგადოების პროლეტარული ნაწილი.

მემარჯვენეებმა დაიწყეს პატრიოტული სიმღერები, მაგრამ კომუნისტებმა ჩაახშვეს.

თავმჯდომარე, სოციალ დემოკრატი ბოკი, იხურავს ქუდს და მიდის, მიდიან სხვა დეპუტატებიც. კომფრაქცია რჩება რეიხსტაგში და განაგრძობს ინტერნაციონალს.

კომუნისტების გამოსვლა.

ბერლინი, 28 მაისი. მთა მადნის მრეწველობის მუშათა კავშირების წარმომადგენლებსა და მეწარმეებს შორის ორშაბათს გამართულმა მოლაპარაკებამ ჯერ-ჯერობით არავითარი შედეგები არ მოიტანა. მოლაპარაკება გრძელდება.

ბერლინი. 28 მაისი. ესსენიდან მოსული ცნობებით რურში მდგომარეობა ისევ გამწვავდა. უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს კომუნისტების გამოსვლას.

[illegible] გამოსვლაში მონაწილეობა მიიღო 500 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა. სხვა ადგილებში თავს დაესხნენ ცეხებში მომუშავე მოსამსახურეებს.

პრუსიის მინისტრთა კაბინეტი.

ბერლინი. 26 მაისი მარქსის მთავრობის გადადგომას მოელოდნენ ორშაბათს. [illegible] კოალიციის შექმნის გზას გარეშე [illegible]. მარქსის გადადგომის შემდეგ ებერტი, რესპუბლიკის პრეზიდენტი, წინადადებას მისცემს შეადგინოს მთავრობა სახალხო პარტიის მეთაურს გერგტს თუ ნაციონალისტებმა პარლამენტში უმრავლესობას ვერ მიიღეს, მთავრობის შედგენა დაევალებათ სახელმწიფოს სათავეში ეხლა მყოფ პარტიებს.

დემოკრატები და ცენტრი მიმართვას გერგტისადმი უბრალო ფორმალობათ სთვლიან. სახალხო პარტია კი სთვლის, რომ გერგტი შეეცდება შეადგინოს მთავრობა.

თუ მარქსმა შეადგინა ახალი მთავრობა, ახლანდელი კაბინეტის მემარჯვენე წევრები—იარესი, ლიუტერი და კანიცი, გადადგებიან.

მილიტარიზმის წინააღმდეგ

დემონსტრაცია დანიაში

კოპენჰაგენი. 26 მაისი. მრავალრიცხოვან მიტინგზე მილიტარიზმის წინააღმდეგ [illegible] კომუნისტი ნილსენი, რომელმაც ამ [illegible] მიატოვა სამხედრო სამსახური.

კომპარტიის ლიდერი [illegible]

მოუწოდა ჯარის შემადგენლობას [illegible] სხდომები.

თავდაცვის მინისტრმა (სოციალ-დემოკრატმა) განაცხადა, რომ არ დაუშვებს საბჭოების შექმნას და ჯარებს გამოიყვანს, თუ „საზოგადოებრივ წესრიგს" რაიმე „საფრთხე" გამოუჩნდება.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

მოსკოვი. 28 მაისი. რუსეთ აღმოსავლეთის პალატაში შესდგა ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ბანკების, შინაგან ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და რუსეთ სპარსეთის საზოგადოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ბაქოს ბაზრობისათვის კრედიტის მიცემის შესახებ. თათბირმა დაადგინა ბაზრობას მისცეს კრედიტი 80 000 ჩერვონეცის რაოდენობით და ამის შესახებ აცნობოს სახელმწიფო და სამრეწველო ბანკებს.

ნება დართულია უცხო ვალიუტის შემოტანა 80 პროც. რაოდენობით, [illegible] საგნების, კამეჩის და კანაფის შემოტანა 20 პროც. რაოდენობით, და აგრეთვე მატყლის და ბამბის შემოტანა.

ჩვენი ურთიერთობა გერმანიასთან

ძაღლი პატრონს ვერ იცნობს.

ბერლინი. 26 მაისი. ვოლფის დეპეშათა სააგენტომ გამოარკვია, რომ იმ ბინის პატრონი, სადაც ლემანი და ბოცენჰარდტი,—ვინმე კოხი, ლემანისა და ბოცენჰარდტის დაპატიმრების დღეს სახლში იმყოფებოდა, რომ ბოცენჰარდტი ცხოვრობდა არა სხვისი სახელით და, რომ ლემანის ბინაზე გაჩხრეკის ვერავითარი ნიშნები არ აღმოჩნდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ პოლიციას სრულიად არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია ბინის პატრონისადმი.

პოლიციის ანგარიშში კი ეუწყება, რომ ბოცენჰარდტი დაპატიმრებული იქნა კოხის ბინაზე, სადაც ლემანს დაქირავებული ჰქონდა ოთახი. დაპატიმრება მოხდა სპეციალური ბრძანების თანახმად. სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული. კოხი სახლში არ იმყოფებოდა.

დეპეშათა სააგენტოს ცნობით კი კოხი ბოცენჰარდტის და ლემანის დაპატიმრების დროს სახლში იყო.

სააგენტო ეკითხება პოლიციას: [illegible] რა პირობებში მოხდა ბოცენჰარდტის და ლემანის დაპატიმრება.

მდგომარეობა აღმოსავლეთში

ოსმალეთის არმიის აღლუმი

ოსმალეთის პრესა იუწყება, რომ იტალიაში ხდება ოსმალეთის საწინააღმდეგო მობილიზაცია

გამწვავდა ოსმალეთ-ინგლისის დამოკიდებულება

სტამბოლი. 26 მაისი. აღმოსავლეთ თრაკიაში დაიწყო ოსმალეთის არმიის აღლუმი. აღლუმს დაესწრნენ გენერალური შტაბის უფროსი ფევზი, პირველ არმიის ინსპექტორი კიაზიმ-კარაბეკირი, მესამე კორპუსის კომანდირი შუქრი ნაილი, არმიის უმაღლესი ოფიცრები და გენერალური შტაბის სკოლის მსმენელნი.

შინაგან საქმეთა კომისარის ფერიდის გადადგომის გარშემო.

ანგორა. 26 მაისი. პრესა იუწყება, რომ ფერიდი თავისი გადადგომის შემდეგ ევროპაში მიემგზავრება.

გაზეთი „იენი გიუნ" სწერს: „ფერიდის გადადგომა დიდ სიამოვნებას გვრის სტამბოლის პრესას, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და სწერს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ახალ წერილებს. გაზეთები კვლავ ცდილობენ დაამცირონ [illegible] ოსმალეთის ძალა". „იენი გიუნ" მოუწოდებს შინაგან საქმეთა ახალ კომისარს მიიღოს ენერგიული ზომები სტამბოლის პრესის წინააღმდეგ.

ინგლისი და ოსმალეთი.

ანგორა. 26 მაისი. ოსმალეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოლ ვაიან-კუტიური

საფრანგეთის პარლამენტში არჩეული დეპუტატი კომუნისტი ნიჭიერი ორატორი და პუბლიცისტი. პარტიის ძლიერესი აგიტატორი. პარტიაში შევიდა მსოფლიო ომის დროს იყო დაპატიმრებული ჯარში აგიტაციისათვის ომის წინააღმდეგ.

ცნობილ მწერალ ანრი ბარბიუსთან ერთად დააარსა ომში დაჭრილდასახიჩრებულთა საერთაშორისო კავშირი. 1919 წელს პარტიამ წამოაყენა კანდიდატად საპარლამენტო არჩევნებში და კიდევაც იქნა არჩეული. ეწევა მასიურ მუშაობას და პარლამენტის სხდომებს ესწრება მხოლოდ, როდესაც საჭიროა კომფრაქციის გამოსვლების დროს მისი მკვეთრი სიტყვა. ბევრი სისხლი გაუშრო პუანკარეს და მის ლაქიებს პარლამენტში. საფრანგეთის რეაქციის სრულიად დამსახურებული გესლიანი სიძულვილით და მუშათა კლასის სიყვარულით. მისი სახით მემარცხენე ნაციონალური ბლოკი წააწყდება პარლამენტში და მას გვერდით ერთ ერთ ძლიერეს მოწინააღმდეგეს, რევოლუციის ერთ ერთ ბელადს.

დიდ ეროვნულ კრების სხდომაზე სამხედრო კომისიის ხელმძღვანელი შუკრი გამოვიდა [illegible] აღნიშნავს სიცილიაში გამოცხადებულ მობილიზაციას და გამოსთქვამს აზრს, რომ მობილიზაცია [illegible] წინააღმდეგ. შუკრი ბეის ამ ეჭვს აძლიერებს ის გარემოება, რომ იტალიის წრეებში ნასიამოვნები არიან საფრანგეთის თანხმობით იტალიის სამფლობელოების გაფართოებაზე. მაგრამ მუსოლინი დარწმუნდება, რომ ოსმალეთი არ აცხადებს მობილიზაციას და კეთილად არის განწყობილი იტალიის მიმართ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიამ უკვე გამოსცადა ოსმალეთის არმიის ძალა აფრიკაში და გალიპოლში, თუ კიდევ არიან იმპერიალისტები, რომელთაც ჯერ თავი არ შეუხეთქავთ ჩვენი არმიის კლდეზე, სცადონ კიდევ ერთხელ თავისი ბედი».

მოსულის მოლაპარაკების ჩაშლა.

ანგორა. 27 მაისი. ინგლის-ოსმალეთის კონფერენცია მოსულის შესახებ შეჩერებულია გამოურკვეველ დროით.

სტამბოლი. 26 მაისი. ინგლისის დელეგაციამ უარყო ოსმალეთის წინადადება მისი სუვერენობის შესახებ მოსულის რაიონის ბუნებრივ საზღვრებში. ინგლისელები დაჟინებით მოითხოვენ ოსმალეთის [illegible] არეულ სამი ოლქის და მოსულის შეერთებას ირაკთან. ოსმალეთის წინადადებები კატეგორიულად იქნენ უარყოფილი ინგლისის მხრით. ოსმალეთის დელეგაციამ მიეცა წინადადება წარმოადგინოს ხსენებულ რაიონის სწორი რუკა.

სხვადასხვა ამბები

● **პრეზიდენტ კულიჯის ავადმყოფობა.** ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი მომავალ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვინაიდან მისი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება.

● **სამხედრო მზადება მონღოლეთში.** მონღოლეთის მთავრობას განზრახვა აქვს შემოიღოს საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

● **ქრისტეს „მოადგილე" და რადიო.** რომის პაპმა კარდინალ გასპარის დაავალა გამართოს მოლაპარაკება მარკონისთან ვატიკანში მძლავრი რადიო-სადგურის დადგმის შესახებ.

● **აეროპლანით—დედამიწის გარშემო.** ამერიკელი მფრინავები, რომლებიც დედამიწის გარშემო ფრენაში იღებენ მონაწილეობას, ჩავიდნენ ტოკიოში.

● **სახელმწიფო აპარატის „რეფორმა".** ბულგარეთის მთავრობა შეუდგა ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების—კომუნისტების დათხოვნას.

● **საფრანგეთის მუშების მოთხოვნა.** პარიზის და ლიონის ელექტრო-სადგურის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა დათხოვნილ თანამოძმის მოწვევლობის მუშებთან სოლიდარობის ნიშნად. მუშებსა და პოლიციელებს შორის მოხდა შეტაკება.

● **კონფლიქტი იაპონიასა და ამერიკას შორის.** იაპონიის ელჩი ნიუ-იორკში ამერიკის დეპუტატებთ იმუქრება თუ კონგრესი ხელს მოაწერს კანონს იაპონელთა იმიგრაციის შეზღუდვის შესახებ.

● **ებრაელების დარბევა სპარსეთში,** რეაქციონერებმა თეირანში და ისპაჰანში მოაწყვეს ებრაელების დარბევა.

● **კომპარტიის არალეგალური კონფერენცია.** გაზეთ „უნიტა"-ს (ცნობით [illegible] კომპარტიის ორგანოა) გაიმართა იტალიის კომპარტიის არალეგალური ყრილობა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფართო მასების ჩაბმა „დობროხიმის"-ის მუშაობაში

მოსკოვი. 28 მაისი. „დობროხიმმა" დაიწყო კამპანია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად საზოგადოების მუშაობაში პროფესიურ ადგილებზე აქტიური მონაწილეობას იღებს დობროხიმის უჯრედების მოწყობის საქმეში. მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები შეამდგომლობენ სამხედრო ქიმიური დისციპლინის შეტანის შესახებ სასწავლო გეგმაში.

კომკავშირის გაწმენდა

მოსკოვი. 28 მაისი. რუსეთის ახალგაზრდა კომკავშირის ცეკა წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს უმაღლეს სასწავლებლების გაწმენდის კომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ ორგანიზაციის ყველაზე უფრო მტკიცე და პასუხისმგებელი მუშაკები. ცეკა წინადადებას იძლევა კომკავშირელების ცოდნის გაწმენდის დროს გამორიცხული იქნენ ორგანიზაციიდან სოციალურად მომხმარეები და ისეთები, რომლებიც ვერ ითვისებენ ცოდნას. ამასთანავე კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ კომკავშირის უჯრედის აზრით.

„სამშობლოს დაცვის და თავისუფლების სახალხო კავშირის" საქმე

მოსკოვი. 28 მაისი. „სამშობლოს დაცვის და თავისუფლების სახალხო კავშირის" საქმე გადაეცა განსახილველად საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, საქმის გარჩევა დაიწყება ლენინგრადში.

მელითონეთა ყრილობა

ლენინგრადი. 28 მაისი. გაიხსნა მელითონეთა სრულიად რუსეთის სამეცნიერო ყრილობა.

15 პროცენტის გადარიცხვა ტრესტების მოგებიდან.

მოსკოვი, 26 მაისი. მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის გასაძლიერებლად სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გადარიცხოს მუდმივად 15 პროცენტი ტრესტების მოგებიდან.

გერმანიის მუშების დასახმარებლად

როსტოვი დონზე, 26 მაისი. დონის პროფსაბჭომ [illegible] ფონდიდან პროფინტერნს გადაუგზავნა 2500 მანეთი გერმანიის მუშების სასარგებლოდ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მუშათა სახალხო განათლების დარგში

ბაქო 27 მაისი. მთავარი შედეგები, რომლებიც მიღწეულია აზერბეიჯანის სახალხო განათლების დარგში მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულამდე, შემდეგია:

გახსნილია 6 თურქული სავაჟო სამასწავლებლო სემინარია, რომლებშიაც ირიცხება 788 მოწაფე და 86 მასწავლებელი; ქალთა სემინარია 2, მათში სწავლობს 850 კაცი, მასწავლებელთა რიცხვი უდრის 38 ს. მაისის დამლევს მოხდება თურქ მასწავლებლების მეორე გამოშვება 40 კაცის რაოდენობით, მათ შორის განჯიდან - 8, ყუბადან 16 და [illegible] 6—16

კლასობრივი შემადგენლობით სწავლობენ გლეხები ხელოსნები და მუშები. მოქმედებს ერთი სავაჟო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელშიაც სწავლობს 144 კაცი. წელს ამ ინსტიტუტს დაამთავრებს 21 კაცი. არის ერთი ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელშიაც ირიცხება 104 მოწაფე. მეორე საფეხურის სკოლების რიცხვი უდრის 42 ამ სკოლებში ირიცხება 6500 მოწაფე, 885 მასწავლებელი. ახლო მომავალში გამოშვებული იქნება დაახლოვებით 600 კაცი მათ შორის დაახლოვებით 100 თურქი.

პირველი საფეხურის სკოლა არის 1114, მათში მოწაფეთა რიცხვი უდრის 95,553, მასწავლებლების—1654 მათ შორის 841 თურქი. არის 8 მუშფაკი, რომლებშიაც სწავლობს 1.882 კაცი, მათ შორის 614 თურქი, განზრახულია 110 კაცის მათ შორის 15 თურქის გამოშვება ახლო მომავალში.

არის 18 ტექნიკუმი, რომლებშიაც ირიცხება 1774 მოწაფე და 198 მასწავლებელი, 10 საფაბრიკო საქარხნო სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 4,282 კაცი. ამ დღეებში ამ სკოლებიდან მოხდება მოწაფეების გამოშვება. არის 50 ქოხ სამკითხველო და 73 წიგნსაცავი.

რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობა

ყრილობამ ერთხმად მოიწონა ცკას მუშაობა

ყრილობამ ცეკას დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებლობის და საერთოდ მშრომელ ინტელიგენციის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

27 მაისის დილის სხდომა

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა

რა უნდა გამოსწორდეს სასწრაფოდ.

მოსკოვი. 27 მაისი. თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ზინოვიევი შეეხო ზოგიერთ საკითხებს, რომლებსაც არ შეეხო თავის მოხსენებაში.

ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, ის საშიშროება რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ცდილობენ წავიდნენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით—უმატებენ ფასებს საქონელზე იმის ნაცვლად, რომ განავითარონ საწარმოო ძალები და გააფართოვონ მრეწველობა

შემდეგ მან აღნიშნა, რომ საჭიროა კომუნისტების შეყვანა არა მარტო მეთაურთა შემადგენლობაში, არამედ აგრეთვე წარმოებლების რიგებშიც.

პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა მუშაობაში ქალები არ იღებენ შესაფერ მონაწილეობას. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომები ქალების ჩასაბმელად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შრომის ხელფასის საკითხი პოლიტბიურომ განიხილა 198 ჯერ, ვინაიდან ეს ძლიერ დიდი და მტკივნეული საკითხია. საჭიროა, რომ შრომის კომისარიატმა მოაწესრიგოს შრომის ხელფასის საკითხი.

ბრძოლა უმუშევრობასთან შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარებისა და გაფართოების საშუალებით და საერთოდ ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებით. ბრძოლის სხვა საშუალებები წარმოადგენენ საქმის მხოლოდ ნახევრად გაკეთებას. პროფკავშირებმა სახელმწიფოს დახმარებით სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

ნაციონალურ საკითხში ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით წინ, მაგალითად უკრაინაში. მაგრამ ჩვენ აგრეთვე უნდა უზრუნველვყოთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საბჭოთა კავშირის ცალკე ნაწილებში ც

საბჭოთა და სამეურნეო დარგში მომუშავეებს ჩვენ არ უნდა ვუყურებდეთ ზევიდან და არ უნდა ვთვლიდეთ მათ მეორე ხარისხოვან კომუნისტებად, ვინაიდან ისინი პარტიის თანასწორუფლებიანი წევრები არიან. მაგრამ ჩვენ სამეურნეო მუშაკებს უნდა მივუთითოთ მათ წინაშე მდგომ სიძნელეებზე და უნდა გვახსოვდეს, რომ თუ გვყავს ნოგინები, გვყავს აგრეთვე კრასნოშჩეკოვებიც.

რ. კ. პ. მთლიანობა ურყევია.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი გადავიდა დისკუსიის საკითხზე და ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი მტრები უცხოეთში განუწყვეტლივ ლაპარაკობენ პროლეტარიატის დიქტატურის კრიზისზე, პარტიის კრიზისზე, განხეთქილებაზე პარტიაში და სხვ. ჩვენი მტრები ხშირათ ითანხმებიან ოპოზიციას, რაიც საწყენი არ იყოს ეს უკანასკნელისათვის.

ტროცკის განცხადების გამო იმის შესახებ, რომ პარტია არასოდეს არ სცდება, ამხ. ზინოვიევმა მოიყვანა ლენინის სიტყვები წინანდელ ყრილობებზე, როცა მან სთქვა, რომ ჩვენ უნდა გვცემონ შოლტით, ვინაიდან თუ ჩვენ შეცდომები გვექნება, დაუნდობლად გაგვანადგურებენო.

ტროცკის განცხადების გამო, რომ ც. კ. თვითონ იყო იძულებული პერიოდში ორ ყრილობას შორის მიეღო სერიოზული დადგენილებები, ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტი სწორედ იმისათვის არსებობს, რომ მიიღოს სერიოზული დადგენილებები პერიოდში ორ ყრილობას შორის.

ც. კ. აკეთებს რაც კი შეუძლიან, რომ ოპოზიციასთან ერთად მუშაობა შესაძლებელი გახდეს, მაგრამ მუშაობა უნდა იყოს ნამდვილი ბოლშევიკური.

ოპოზიციის წარმომადგენელმა სიტყვაში აღნიშნა, რომ ც. კ. საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკა სწორი იყო, თუმცა, როგორც ვიცით, გარდა საერთაშორისოსა და საშინაოსი სხვა პოლიტიკა არ არსებობს. პრეობრაჟენსკი კი ამბობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დღიდან, რ. კ. პ. მეათე ყრილობის შემდეგ, პარტიის მთელი პოლიტიკა შეუცდარი იყო. ეს თითქო წინააღმდეგობა არის.

ცდება [illegible], რომ ოპოზიციას არ განუცხადებია, თუ როგორ მოიქცევა ის ყრილობის შემდეგ ეს დღემდე არ ყოფილა ცხადი

არავითარ ჯგუფს [illegible] არ შეუძლია ჩვენი პარტიის გათიშვა, ვინაიდან მთელს მსოფლიოში ვერავინ ვერ გათიშავს რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

საკითხი [illegible] შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არა თუ არ უნდა დავდგეთ მეურნეობის [illegible], არამედ აგრეთვე არ უნდა [illegible] ერთ ადგილას. ეს არის ჩვენი ძირითადი პოლიტიკური ამოცანა და ამისათვის აუცილებელია ბოლშევიკური მთლიანობის 100 პროცენტი. ყრილობა ამ მთლიანობას სავსებით ანსახიერებს.

ციით დემოკრატიის სასარგებლოთ თავის სურვილის წინააღმდეგაც კი ზოგიერთი სამსახური გაუწია მუშაობას. ოპოზიცია ჩვენი პარტიის უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენს. მთლიანობა და შეკავშირება, რომელსაც ადგილი აქვს ყრილობაზე, დამამტკიცებელია ჩვენი პარტიის მთლიანობის. ჩვენ ერთხმად ვაცხადებთ, რომ მომხრე ვართ შეერთებული მუშაობის ოპოზიციასთან. უმრავლესობას სურს მუშაობის მთლიანობა, დანარჩენი კი სავსებით დამოკიდებულია ოპოზიციისაგან.

ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი. 27 მაისი. დილის სხდომაზე საბოლოო სიტყვაში ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ ყრილობა, როგორც ჩანს, ეთანხმება ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის ყველა დასკვნებს, ვინაიდან არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია.

შეეხო რა ამხ. ტროცკის და პრეობრაჟენსკის გამოსვლებს, ამხ. სტალინმა განაცხადა: ოპოზიცია, ლაპარაკობს რა უთანხმოებაზე, აქცევს ყრილობის ყურადღებას მხოლოდ 5 დეკემბრის რეზოლუციას და ამტკიცებს, რომ ამ რეზოლუციის ერთსულოვანი მიღების შემდეგ დისკუსია გაჩაღდა ახალი ძალით ამხ. ტროცკის წერილის გამო. ამხანაგი ტროცკი ივიწყებს, რომ ხუთ დეკემბრის რეზოლუციაში არ ყოფილა აღნიშნული საკითხები კადრების გადაგვარების, პარტიულ აპარატზე იერიშის მიტანის აუცილებლობის, ჯგუფების თავისუფლების, პარტიის მიერ მოსწავლე ახალგაზრდობაზე ორიენტაციის მიღების შესახებ.

ამხ. ტროცკიმ ეს, როგორც ჩანს დაივიწყა, მაგრამ ყრილობას ამის დავიწყება არ შეუძლია არც ერთ ზემოთ დასახელებულ საკითხში ოპოზიცია მართალი არ ყოფილა.

არ არის მართალი ის, რომ კადრები გადაგვარების გზაზე დგანან. ასეთი ფაქტები ოპოზიციამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგინა. პირიქით, ეხლა ჩვენთვის ცხადია, რომ ასეთი გადაგვარება არ არის და არც ყოფილა.

ოპოზიცია შეცდარი აღმოჩნდა აგრეთვე ახალგაზრდობის საკითხშიაც: ეხლა აშკარაა, რომ პარტიამ უნდა აიღოს ორიენტაცია არა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, არამედ პროლეტარიატზე.

პარტიული აპარატის საკითხშიც შეცდარი იყო ოპოზიცია; ეხლა ის უკან იხევს თავის ძველ პოზიციებიდან ამ საკითხში.

ჯგუფების საკითხის შესახებ ამხ. ტროცკი ეხლა აცხადებს, რომ ის აშკარათ ეწინააღმდეგება ჯგუფებს.

ეს რასაკვირველია ძალიან კარგია. მაგრამ რ. კ. პ. ცეკას ქვე-კომისიაში რომელიც ადგენდა 5 დეკემბრის რეზოლუციას ამხ. ტროცკის, კამენევის და სტალინის მონაწილეობით, ტროცკი მოითხოვდა ჯგუფების თავისუფლებას. ოპოზიციის განცხადება ჯგუფების დაუშვებლობის შესახებ წარმოადგენს უწესრიგოთ უკან დახევას

ამხ. ტროცკი შემცდარია, როდესაც ლაპარაკობს, რომ დემოკრატიის არსებითი მხარე არის საკითხი თაობათა შესახებ. ეს საკითხი მეორე ხარისხოვანია. სინამდვილე მოწმობს, რომ პარტიის ახალი თაობა თანდათანობით შედის კადრებში, და რომ კადრები ფართოვდებიან ახალგაზრდობის ხარჯზე. დემოკრატიის არსებითი მხარე არის არა თაობათა საკითხი, არამედ პარტიის წევრთა თვითმოქმედების და პარტიულ ხელმძღვანელობაში მათი აქტიური მონაწილეობის საკითხი.

პარტიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს რეალური კავშირი მუშათა კლასის უპარტიო მასებთან.

არ არის მართალი, თითქოს [illegible] მდგომარეობს მხოლოდ პარტიული აპარატის ბიუროკრატიზაციაში.

ნამდვილი საშიშროება მდგომარეობს პარტიის მასებისაგან ჩამოშორების შესაძლებლობაში, რადგან პარტიულ ორგანიზაციას, როგორიც ბიუროკრატიულს, ისე დემოკრატიულს, არ შეუძლია არსებობა იმ პირობებში, როდესაც პარტია ჩამოშორდება მასებს.

მართალი არ არის აგრეთვე ამხ. ტროცკის განცხადება იმის შესახებ, რომ პარტია არ სცდება. პარტია ხშირათ სცდება. ილიჩი გვასწავლიდა ჩვენ გვესწავლა ჩვენს საკუთარ შეცდომებზე. პარტია იზრდება თავისი საკუთარი შეცდომების გათვალისწინებისა და მათი გასწორების გზით.

ამხ. პრეობრაჟენსკი მართალი არ არის, როდესაც ის ილაშქრებს გაწმენდის წინააღმდეგ. მერყევი ელემენტების პერიოდული გაწმენდის გარეშე პარტიას არ შეუძლია გამტკიცება. ამას გვასწავლიდა ჩვენ ლენინი. გაწმენდის [illegible] პარტიის მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც ჩამოშორდნენ მას.

რუსეთის კომპარტია—მუშათა კლასის მიერ არჩეული ორგანოა

ოპოზიციამ უნდა შეკითხებოდა თავის თავს, როგორ ეპყრობა მუშათა კლასი პარტიას: თანაგრძნობით თუ არა. პასუხი ნათელია თუ მუშათა კლასი პარტიაში გზავნის ყველაზე უფრო პატიოსან 200 000 წევრს,—მაშასადამე პარტია ძლიერია, ის მუშათა კლასის მიერ არჩეული ორგანოა და მან მიიღო მისი უსაზღვრო ნდობა. ასეთი პარტია არ დაიშლება. პარტიაში ახალი წევრების მიღება—ჩვენი პარტიის ნამდვილი დემოკრატიულობის საფუძველია.

ოპოზიციისათვის წაყენებული ბრალდება წვრილ ბურჟუაზიულ გადახრაში სამართლიანია, რადგან ოპოზიციამ თავისი შეუწყვეტელი აგიტა-

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობა

ამხ კუიბიშევის მოხსენება

მოსკოვი. 28 მაისი. ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია ყოველთვის მხარს უჭერდა ცეკას იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებდა მთლიანობისა და ბოლშევიკური ხაზის შენარჩუნებისათვის. შეეხო რა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობას სამეურნეო კრიზისის და ამ კრიზისის შემდეგ დაწყებულ აღორძინების ხანაში, ამხ. კუიბიშევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პარტიაში ახალი წევრების მიღების შემდეგ საშუალება მიეცა დაყრდნობოდა მუშებს და პარტიულ მასებს. პარტიაში ახალი წევრების მიღებამ საშუალება მისცა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას გამხდარიყო ისეთ ორგანოთ, რომელსაც პარტიის წევრები—მუშები უნდა ჩააბან სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ მუშაობაში.

პარტიის გაწმენდა

პარტიაში ახალი წევრების მიღებასთან ერთად საჭირო შეიქნა პარტიის გაწმენდა უვარგისი ელემენტებისაგან. ცხადი სახით დაწყებულია არაპროლეტარულ უჯრედების გაწმენდა მოსკოვის, ლენინგრადის და პენზის ორგანიზაციებში; შემდეგ ეს გაწმენდა თანდათანობით გავრცელდება სხვა ორგანიზაციებზედაც. გაწმენდის კომისიები უმთავრესათ შესდგებიან მუშების და პარტიის იმ წევრებისაგან, რომელთაც აქვთ ოქტომბრის წინა სტაჟი. ყოველგვარ ჭორებს, რომელიც შეიქნა გაწმენდის გარშემო, ბოლო უნდა მოეღოს.

საკონტროლო კომისიების მუშური შემადგენლობა.

პარტიის მე-12 ყრილობამ დაადგინა ახალი ღონისძიებები ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ გატარებული იქნეს მხოლოდ ცენტრალურ დაწესებულებებზე. ეხლა ეს დადგენილება შეიძლება გავრცელებული იქნეს აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებზე, რადგან ადგილობრივ საკონტროლო კომისიების შემადგენლობა სავსებით დამაკმაყოფილებელია და მათში 75 პროც. შეადგენენ მუშები. ამ მიზნით, რომ მუშები უშუალოდ ჩაბმული იქნენ წარმოების გაუმჯობესებულად დაწყებულ მუშაობაში, სამფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, გარდა თავიანთი უშუალო ამოცანებისა, ეკისრებათ მუშათა და გლეხთა ინსპექციის [illegible] ფუნქციები.

ჩვენი როლი ეკონომიურ სფეროში

მუშების ჩაბმას მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს აპარატის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით მეურნეობის სფეროში.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშებს ეკისრებათ [illegible] ფუნქციები წარმოებაში, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგ წარმოებებში, პირიქით, მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს სამეურნეო მუშაკებთან ერთად, რომელნიც ერთადერთი პასუხისმგებელი პირი არიან წარმოებების მდგომარეობისათვის. ცენტრალური საკონტროლო კომისია, როდესაც ის კონტროლს უწევს სამეურნეო მუშაკებს, სრულებით არ ფიქრობს იმაზე, რომ [illegible] ისინი ბიუროკრატიულად, პირიქით, ის ცდილობს [illegible] მათ წარმოების მოწყობის საქმეში. მაგრამ, ცენტრალური საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას არ შეუძლიათ გვერდი აუარონ სამეურნეო მუშაკების მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ხშირად ადგილი აქვს. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მთელი ყურადღებით უნდა ებრძოლოს ამ ნაკლოვანებებს წინააღმდეგ.

ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ.

დიდ დეფექტებს აქვს ადგილი ჩვენს სახელმწიფო აპარატში, თუმცა მის შემადგენლობაში უკანასკნელ დროის განმავლობაში გადიდებული იქნა კომუნისტური ელემენტების რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ უსისტემობას, რომელიც გრძელდება შრომის ხელფასის სფეროში. საჭიროა აგრეთვე ბრძოლა იმ ყალბ სპეცების წინააღმდეგ, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიბრძვით ნამდვილ, კეთილსინდისიერ სპეცების წინააღმდეგ. ჩვენი დამოკიდებულება ამ უკანასკნელებისადმი რჩება უცვლელი.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი ყრილობას აცნობს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მისი ადგილობრივი ორგანოების მომავალი მუშაობის გეგმას.

რეზოლუცია

რუსეთის კომპარტიის ცეკას ანგარიშის გამო

მოსკოვი. 28 მაისი. ამხ. ამხ. სტალინის და ზინოვიევის საბოლოო სიტყვების შემდეგ, ამხ. მინინს მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, ამიერ-კავკასიის და სხვა დელეგაციების სახელით შეაქვს რეზოლუცია ცკას მოხსენების გამო. რეზოლუცია მიღებული იქნა ერთხმათ; გრიალებს მქუხარე ტაში. დელეგატები ფეხზე სდგებიან. ისმის „ინტერნაციონალის" სიმღერა.

ლენინის გზით

„მეცამეტე ყრილობა სავსებით იწონებს ცკას სწორ პოლიტიკურ ხაზს და საორგანიზაციო მუშაობას რომლებმაც პარტია მძიმე და რთულ პირობებში მიიყვანეს სერიოზულ მიღწევამდი მუშაობის ყველა დარგებში ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ცკას მუშაობის სისწორეს გასულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რომელიც იყო პირველი წელი ცკას მუშაობისა, როდესაც პარტია მოკლებული იყო ლენინის უშუალო ხელმძღვანელობას".

ბოლშევიკურ შეურიგებლობისათვის—მოწოდება.

„ყრილობა მთლიანათ და სავსებით ამტკიცებს სრულიად საკავშირო მე-13 პარტკონფერენციის რეზოლუციებს პარტიული აღმშენებლობისა და დისკუსიის და წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრის შედეგების შესახებ და ადგენს, რომ ეს რეზოლუციები შეუერთდეს მე-13 ყრილობის დადგენილებებს.

ყრილობა სავსებით იწონებს ცკას სიმტკიცეს და ბოლშევიკურ შეურიგებლობას, რომელიც გამოიჩინა მან იმ დისკუსიის დროს, რომელიც სწარმოებდა ლენინიზმის საფუძვლების დასაცავათ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრისაგან".

ც. კ. საერთაშორისო პოლიტიკის მოწონება

ყრილობა იწონებს საერთაშორისო პოლიტიკას, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ცენტრალური კომიტეტი და რასაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის ცნობა მთელ რიგ მსხვილ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ.

ყრილობა ავალებს ც. კ. მომავალშიც უდიდესი სიფრთხილე გამოიჩინოს კონცესიების გაცემის დროს, მტკიცედ დაიცვას საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, გააძლიეროს პურის ექსპორტი და იზრუნოს საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის განმტკიცებაზე.

ახალი საერთაშორისო მდგომარეობის შექმნის გამო, კერძოთ კი იმ სიმტკიცის გამო, რომელსაც იჩენს საერთაშორისო ბურჟუაზია, რომ იძულოს საბჭოთა კავშირი აღიაროს [illegible] ვალები და უცხოელ კაპიტალისტების ნაციონალიზაციაქმნილი ქონება,—ყრილობა განსაკუთრებით საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სოფლის, სისტემატიურად გაცნობას ყველა იმ მოლაპარაკებებთან, რომლებსაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება საერთაშორისო პოლიტიკის დარგში

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისათვის.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ჩამოყალიბების საქმე წარმატებით დამთავრდა, რითაც შექმნილია მტკიცე საძირკველი ყველა იმ ერების მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ნაციონალური კითხვა.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს ფხიზლად ადევნოს თვალყური საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერების უფლებათა უზრუნველყოფას, თანახმად პარტიის მეთორმეტე ყრილობის დადგენილებისა ნაციონალურ საკითხზე.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ყრილობა ადასტურებს, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელსაც პარტია ატარებს, სავსებით გაამართლა და შეასრულა ის ამოცანები, რომლებსაც პარტია მის წინაშე აყენებდა

სამეურნეო აღორძინება

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე ადგილი აქვს საერთო სამეურნეო აღორძინებას. ფეხზე დგება სოფლის მეურნეობა, იზრდება მრეწველობა, იზრდება მისი კონცენტრაცია, თანდათანობით მაღლდება შრომის ხელფასი და მიღწეულია ერთგვარი დადებითი შედეგები შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

„მაკრატლის" საკითხი.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საქონლებზე ფასების განსხვავებასთან, პარტია წარმატებით აწარმოებდა და აწარმოებს ბრძოლას და ამ ნიადაგზე იზრდება და უფრო მტკიცე და განუყოფელი ხდება კომპარტიისადმი მუშათა კლასის ნდობა.

ეკონომიური პოლიტიკა რჩება ძველი.

პარტია არ ხედავს არავითარ საფუძველს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გადასასინჯავად და მოითხოვს [illegible] სისტემატიურ მუშაობას ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების გასაძლიერებლად.

მუდმივი ამოცანა

პარტიის მუდმივ ამოცანად რჩება გლეხობის მხრივ პროლეტარიატის სახელმწიფოსადმი ნდობის განმტკიცება მთელ რიგ რეალურ ღონისძიებების გატარებით სოფლისა და ქალაქს შორის ეკონომიური კავშირის დასამყარებლად, გლეხობის მეურნეობისათვის ხელის შეწყობით და სოფლის კულტურული დონის ამაღლებით.

ფულის რეფორმა

ყრილობა ადასტურებს, რომ ც. კ. თავის დროზე გაატარა ფულის რეფორმა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობისათვის. ამ უდიდესი რეფორმის მტკიცე გატარება მთელი საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღების საფუძველი შექმნა. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ამ დარგში მიღწეულ შედეგებს და ავალებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ცენტრალურ ორგანოების ყველა იმ დადგენილებათა სისწორით გატარება, რომლებიც დაკავშირებული არიან ფულის რეფორმასთან და სახეში იქონიონ, რომ დარღვევები ამ დარგში მოსალოდნელია და რომ მხოლოდ უდიდესი დისციპლინის საშუალებით შეიძლება ამის თავიდან აცილება

ვაჭრობა და კოოპერაცია.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ც. კ. ინიციატივას შინაგ ვაჭრობისა და კოოპერაციის საკითხებში, რომლებიც ცენტრალურ საკითხებად იქცნენ მთელი პერიოდისათვის.

ამ საკითხებში პარტიის სწორ პოლიტიკაზე არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირში სამეურნეო მშენებლობის წარმატებით განვითარება მომავალში. ყრილობა ადასტურებს, რომ ც. კ. ნათლად ხედავს ახალი ბურჟუაზიის ზრდას, რაც აუცილებელია მიმდინარე ეპოქაში, და ატარებს ყველა იმ შესაფერ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ამ ფაქტიდან გამომდინარეობენ.

პარტიაში ახალი წევრების მიღება.

ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს ც. კ. პოლიტიკურ ინიციატივას და მუშაობას პარტიაში ახალი წევრების მიღების საქმეში. მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის მიერ კლასობრივი სახის დაკარგვის პროცესი შეწყდა და საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სამეურნეო ფრონტზე, შესაძლებელი გახდა პარტიაში ასეულ ათას ახალი წევრების—ნამდვილი მუშების მიღება. კომპარტია იყო და რჩება მუშურ პარტიად. პარტიის კავშირი მრავალრიცხოვან უპარტიო მუშების მასასთან იზრდება და მაგრდება. ახლოვდება დრო, როცა ჩვენს პარტიაში თავს მოიყრის საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მთავარი მასა.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით, რათა პარტიის წევრების დიდი უმრავლესობა ახლო ხანში შესდგებოდეს ნამდვილი მუშებისაგან.

მუშათა ქალთა შორის

ყრილობა მთელი პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მუშა და გლეხ-ქალებს შორის მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე. საჭიროა მათი წამოყენება პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე.

მუშათა ახალგაზრდობას შორის

ყრილობა იწონებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელსაც უთმობს რ. კ. პ. ც. კ. კომკავშირს და მასიურ მუშაობას მუშურ გლეხურ ახალგაზრდობას შორის.

მუშათა მასების აქტიური მუშაო

მუშათა მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდა პარტიის წინაშე აყენებს ფრიად სერიოზულ ამოცან ეს არის ფართო მასების ჩაბმა საბჭოების, კავშირების და კოოპერაციის მუშაობაში.

ყურადღება მასწავლებლობას.

ყრილობა ავალებს პარტიის ყველა ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და კავშირი დაამყარონ სოფლის, ქალაქის მასწავლებლობის, აგრონომების და სოფლის მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილთან. ამ მიზნით პარტიამ პირველ რიგში სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ინტელიგენციის ამ წრეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ საკითხში სწორი ხაზის გატარებით პარტია ჩქარა მიაღწევს იმას, რომ ეს წრეები გახდებიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი იდეების გამტარებელნი გლეხობის ფართე მასებში.

კერძოთ კი, ყველა პარტიულ ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა კავშირის მასწავლებელთა პირველი ყრილობის მომზადებას და შეუწყონ ხელი, რომ ამ ყრილობაზე დაესწროს სოფლის მასწავლებლობის უმრავლესობა, რომ ყრილობამ შეასრულოს ის უდიდესი ამოცანა, რომელსაც აყენებს მის წინაშე მთელი თანამედროვე მდგომარეობა.

ლითონის მრეწველობის აღორძინება.

სახელმწიფო მრეწველობის აღორძინების სფეროში უახლოესი დროის უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის ლითონის მრეწველობის აღდგენა. მეურნეობის სათბობი მასალით უზრუნველყოფა, ტრანსპორტის აღდგენისა და ფულის რეფორმის გატარების შემდეგ—რიგი ლითონზეა. წარმოების საშუალებების დამზადება კავშირის შიგნით ნიშნავს ნამდვილ მტკიცე ბაზის შექმნას სოციალისტური მეურნეობისათვის მათი [illegible] ჩვენ [illegible] ყრილობა ავალებს ცეკას სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ პრობლემას.

საბჭოთა კავშირის ელექტრიფიკაცია.

ყრილობა ავალებს ცეკას საბჭოთა კავშირის ელექტრიფიკაციის საქმეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს, ვინაიდან [illegible] ცეკამ უნდა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ გაატაროს ცხოვრებაში ელექტრიფიკაციის მთელი გეგმა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის გამტკიცებისა და ამით სოციალიზმის გამტკიცებისათვის.

სამხედრო რეფორმები.

ყრილობა ესალმება იმ ნაბიჯებს, რომლებიც გადადგა ცეკამ სავსებით მომწიფებულ რეფორმების გასატარებლად სამხედრო უწყებაში [illegible] ში პოლიტიკურ მუშაკთა რიცხვის გასადიდებლად. იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ტერიტორიალურ სისტემას ქვეყნის თავდაცვისათვის, ყრილობა პარტიას მიუთითებს იმაზე, რომ მიღებული იქნეს [illegible] ზომები ტერიტორიალურ ნაწილებში კომუნისტური გავლენის გასაძლიერებლად. ყრილობა ავალებს ცეკას მიიღოს ზომები კომუნისტების რიცხვის გასადიდებლად წითელ მეთაურებსა და მეზღვაურებს შორის.

ცეკას შემადგენლობა

ყრილობა აღნიშნავს ცეკას პლენუმის და ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების შეერთებულ სხდომების რეგულარულ და ნაყოფიერ მუშაობას [illegible] დაამტკიცა, რომ ცეკას შემადგენლობის გადიდებამ, მასებთან ყველაზე უფრო დაკავშირებულ ადგილობრივ მუშაკების [illegible] გზით, დიდი სარგებლობა მოუტანა საქმეს. ყრილობა აუცილებლად სცნობს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემადგენლობის კიდევ უფრო გადიდებას.

სახელმწიფო აპარატი.

ყრილობა ფიქრობს, რომ სახელმწიფო აპარატის შემცირებისა და გამარტივებისათვის წარმოებულ მუშაობას ცეკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ყრილობა პარტიის მორიგ ამოცანად სთვლის კოოპერაციის და ვაჭრობის ორგანოების და საკრედიტო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას და მათში კომუნისტური მუშაკების რიცხვის გადიდებას.

კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები.

ყრილობა აუცილებლად სთვლის, რომ კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებს პარტიამ გაუწიოს სერიოზული და ყოველმხრივი დახმარება. ყრილობა ავალებს ცეკას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშაობის გაუმჯობესებას უმაღლეს სასწავლებლებში. მუშაობის სერიოზულ ნიადაგზე დაყენებით, ლენინიზმის პროპაგანდით და [illegible] საკითხების ახსნა-განმარტებით პარტიას შეუძლიან მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის დაპყრობა.

ტიული უჯრედების შემადგენლობის გასინჯვა.

ლობა ფიქრობს, რომ ცეკას დასტურით დაწყებული პარტიული უჯრედების ზოგიერთი ჯგუფის შემადგენლობის გასინჯვა დროულია და ის [illegible] მოუტანს პარტიას.

ლენინიზმის ურყევ პრინციპების საფუძველზე

ყრილობა ავალებს ცეკას ისევე [illegible] და გადაჭრით დაიცვას პარტიული მთლიანობა და ბოლშევიზმის ხაზი ყოველგვარი გადახრისაგან, როგორც ის აქამდე იცავდა მას. მის შემდეგ, როდესაც პარტიამ დაკარგა ლენინი, სრული პარტიული მთლიანობის უზრუნველყოფის საქმე უფრო მნიშვნელოვანი და [illegible] გახდა, ვიდრე ის აქამდე იყო.

ყოველგვარ, სულ მცირე ფრაქციულობასაც კი სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. რუსეთის კომპარტიის 13 [illegible] და მთლიანობა ლენინიზმის ურყევ პრინციპების საფუძველზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა რევოლუციის შემდეგი გამარჯვებისათვის.

რეზოლუცია

ნტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების გამო

კოვი, 28 მაისი. ყრილობის სათათბ. ამხ. [illegible] წინადადებით მიღებული იქნეს პრინციპული რეზოლუცია ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინადადება [illegible] მუშაობის შესახებ კი გადაეცეს სპეციალურად არჩეულ კომისიას. წინადადება მიღებულია.

ყრილობა იღებს შემდეგ რეზოლუციას: „რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, იწონებს ამ მუშაობას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ხაზს სწორად სთვლის. ეს მუშაობა სწარმოებს ლენინისა და პარტიის მეთორმეტე ყრილობის მიერ ნაჩვენები გზით.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების სფეროში.

ზოგიერთი პარტიული უჯრედების შემოწმება წარმოადგენს საბჭოთა აპარატის შემოწმების ერთ ერთ ნაწილს. ყრილობა თვლის, რომ ეს შემოწმება დაიწყო თავის დროზე და სწორად ტარდება.

ყრილობა იღებს საფუძვლად ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინადადებებს საკონტროლო კომისიის მომავალი მუშაობის შესახებ.

პარტიული „ცხოვრება"

კვირეული მიმოხილვა

ნს პარტიულ უჯრედებში დიდი ხანია მიღებულია ზომები, რათა ყოველი წევრი აქტიურად ჩაბმული იყოს პარტიულ და პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უჯრედულ წილად უჯრედის წევრს ელიან — მოხსენებანი გააკეთოს [illegible] წრეში ამა თუ იმ საკითხის შესახებ ძლიან ხშირად იმ „ოფიციალურ" მოხსენებების გარდა, რომელსაც [illegible] უჯრედი ისმენს ხოლმე პარტიული წევრის [illegible] ამბების შესახებ, რომლებიც [illegible] განმავლობაში, პერსპექტივიდან.

ამ წესით უეჭველად დიდი სარგებლობა მოაქვს იმ მხრით, რომ [illegible] აქტიური ელემენტების [illegible] ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებ[illegible] გარემო [illegible].

მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგებს გამოუცდელ მომხსენებლებს დიდი დროის და ძალის დახარჯვა უხდებათ, რომ შეადგინონ მთელი კვირის განმავლობაში მომხდარი ამბები, ჯამი გამოიტანონ მას [illegible] წამოაყენონ თავის პარტიულ ამხანაგებს. ასეთ შემთხვევებში ისინი [illegible] და მოხსენებები ვერ [illegible] საჭირო ეფექტს. ამის გარდა, მომხსენებლებს არ აქვთ რაიმე [illegible] მასალის შერჩევაში. ხშირად [illegible] მნიშვნელოვანი ამბებს და [illegible] დროს [illegible] უგულებელყოფენ [illegible] მნიშვნელობის მოვლენებს.

ამ სტრიქონის დამწერი მოწმე იყო, რომ ერთი მუშა თავის კვირეულ მიმოხილვაში დაწვრილებით [illegible] ქალაქის აღმასკომის ერთის [illegible], რომელსაც მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია, და ამ დროს სრულებით არ აღნიშნა ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორიც არის კურზონის ულტიმატუმი, მამართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს ხელს ადვილად უწყობს იმას, რომ მუშები გაიწვრთნან და გაერკვიონ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მომენტებში და ამ მომენტებზე შეაჩერონ თავისი ყურადღება.

ყველა ამაში [illegible] ვართ, უჯრედების ხელმძღვანელნი [illegible] კვირაში ერთხელ წევრთა [illegible] იზრუნებდნენ ხოლმე მოკლე [illegible] მომხდარ ამბებისა და მოვლენებისა, როგორიც საერთაშორისო, ისე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მასშტაბით. ეს მიმოხილვა შეიძლება გამოიყენონ მოხსენებლებმა, როგორც მასალა.

იმის თქმა არ გვინდა, ვითომ მომხსენებელი არ უნდა ცნობდეს იმ მასალებს, რომელიც შეუძლიან გაეცნოს და უნდა იცნობდეს კიდეც ყოველ დღე გაზეთებიდან. კვირეულ მიმოხილვის სარგებლობა იმაში გამოიხატება, რომ მუშა, რომელსაც გაცნობილი აქვს ცნობები ყოველდღიურ გაზეთებიდან, თავის თავს შეამოწმებს, როდესაც გადახედავს მიმოხილვას, რომელშიაც აღნიშნული იქნება უმთავრესი მომენტები და ცვლილებები, როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკის სფეროში — განვლილ დროის განმავლობაში. მიმოხილვას გადახედავენ სხვა ამხანაგებიც, რომელთაც შეუძლიათ ამ მიღებით შეამოწმონ მომხსენებლის ნამუშევარი და საჭირო შემთხვევაში ესა თუ ის შესწორება შეიტანონ.

რომ [illegible] საყურადღებო [illegible] ლის მ[illegible] საკითხები ამ სფეროში განსაკუთრებით ცხადი ხდება, თუ გავიხსენებთ იმ ათას მუშას, რომელიც [illegible] და შეუერთდა ჩვენს პარტიას ლენინის სახელის უკვდავსაყოფად.

ამ ახალგაზრდა პარტიულებს [illegible] გარკვევა პოლიტიკურ საკითხებში და თვით ისინი, რომლებიც ამ მხრივ [illegible] აჩენენ, ვერ არიან იმდენად გაწრთობილნი, რომ ამა თუ იმ მწვავე საკითხს [illegible] ლენინიზმის თვალსაზრისით.

მართალია, თვითეული მათგანი მიმდევარია ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკურ ჯგუფს [illegible] სხვაა, ხოლო [illegible] პოლიტიკურ ხასიათის საკითხების შესახებ მსჯელობაში მონაწილეობის მიღება ახალგაზრდა ამხანაგთა მიერ — სულ სხვაა.

აი, ამიტომ არის საჭირო დახმარება, რომელიც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ამხანაგებს გაუადვილდეთ მიმდინარე მოვლენებში გარკვევა [illegible], როგორც ეს შეეფერება ახლ ლენინის ანდერძთა განმახორციელებელს.

კვირეულ მიმოხილვის შემდგენელი უნდა ხელმძღვანელობდეს გარკვეულ გეგმით, რათა მომხსენებლებმა შეითვისონ საჭირო მასალის შერჩევის ტექნიკა. ამით უჯრედის წევრებს გაუადვილდებათ მოხსენებათა შედგენას და დეტალურ მიღებულ ცნობების გამოყენებას.

გავა თვეები და ჩვენ მოწმენი ვიქნებით იმისა, რომ პარტიის მუშა — წევრები დამოუკიდებლად გააკეთებენ მოხსენებებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც მათ აინტერესებს.

და მაშინ „კვირეულ მიმოხილვის" საჭიროებაც გაქრება.

ერქომაიშვილი.

ქ. ფოთი

(პარტორგანიზაციის მუშაობიდან აპრილის განმავლობაში)

[illegible] განყ. მუშაობა. თვით [illegible] განაწილების საქმეს [illegible] მრავალი დაბრკოლება, რომ მაინც ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს საკმაოდ. შევეხები [illegible] მუშაკების მოძრაობას უკანასკნელი თვის განმავლობაში.

[illegible] პირველი რიცხვისათვის აღრიცხული იყო 14 უმუშევარი ამხანაგი, ამათში 4 ქალი, ამ ხნის განმავლობაში იქნა სამუშაოზე გაგზავნილი 5 მამაკაცი, ამათში 1 ქ. [illegible] ერთი [illegible] თვეში არმიიდან [illegible] და 3 სამსახურის [illegible] მოყოლილი.

[illegible] პირველი მაისისათვის 9 უმუშევარი, ამათში 4 ქალი.

ქალთა განყ. მუშაობა. [illegible] ქალთა განყოფილებამ მოუწყვია კრება დელეგატების შორის 4-ჯერ და დასწრებულა 1-ხელ.

ქალთა განყოფილებამ გახსნა [illegible] რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა.

[illegible] არტელი, სადაც მუშაობენ ღარიბი მუშების ცოლები შემოსულ თანხიდან ქალთა განყ. [illegible] 10 პროც. [illegible] ინაწილებენ თვით მუშა ქალები.

მანვე გახსნა დროებითი თავშესაფარი უპატრონო ქალთათვის ხუთი საწოლით და ამჟამად აქ ჰ. ყავს 8 ქალი.

ქალთა შორის მუშაობა თანდათან ცხოველდება. დელეგატი ქალები კრებებს ესწრებიან სისტემატიურად. [illegible] ქალები გაურბოდნენ ქალთა შორის მუშაობას, დღეს ასე არ არის. ქალები იღებენ მონაწილეობას [illegible], არჩევნებში, [illegible] ქალებს [illegible] და აღმასკომებში.

ქალთა შორის მუშაობა თუმცა საერთოდ ჯერ კიდევ მოიკოჭლებს და ეს მარტო ფოთის ქალთა განყოფილებას არ ახასიათებს, მაგრამ აპრილის თვეს მუშაობა წინანდელთან შედარებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

დ. გაჩეჩიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(29 მაისი)

საბჭოთნიშანი—125 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

გირვ. სტერლინგ. ნაღდი 8 მ. 44 კ.

" ჩეკები — 7 მ. 25 კ.

დოლარი ამერ. ნაღდ. 1 მ. 94 ნახევ კ.

" ჩეკები — 1 მ. 78 კ.

თურქ. ქაღ. ლირა — 1 მ.

იტალ. ლირა 100 ცალი 8 მან.

ფრანკ. ფრან. 100 ცალი 9 მ. 50 კ.

ოქროს მანეთი 12 500 მილიონი.

[illegible] ფასები.

(29 მაისი)

პური 5 ნახ. კაპ., თეთრი ფქვილი 9 კ. ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კ., შაქ. ფხვნილი—25 ნახ. კ., ბრინჯი ადგ.—10 კაპ. ბრინჯი [illegible]—15 კაპ. კარტოფილი (ძველი)—3 კ., [illegible] ლი 14 კ. საპონი „[illegible]" 22 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(29 მაისი)

პური 1 ხარ.—7 კ., პური 2 ხარ 5 კ., შაქარი რაფინადი—34 კაპ. შაქარი ფხვნილი—27 კ., ძროხის ხორცი—30 კაპ. კარტოფილი ძველი—4 კ. ბრინჯი 10—20 კაპ., მაკარონი—18 20 კაპ.

ბირჟის მოთხოვნა

„[illegible]"-ის პროდუქცია (ასანთი, კარტონი, ქაღალდი, ფანჯრის მინა, [illegible] და სხვ) გუთნები, თევზი—„ვობლა", „[illegible]"-ის პროდუქცია, „[illegible]"-ის პროდუქცია, „საქართრესტ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, საქ. მეურნ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართი, ოლიფის ზეთი და სხვ), „კრასტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, და ტერპენტინი), შაბიამანი, მავთული, სალესავი მანქანები, თევზი (შებოლილი) ვაგონებით, [illegible], „[illegible]"-ის პროდუქცია, საპონი როსტოვის და კრასნოდარის. ანტრაციტი.

ბირჟის მიწოდება

პორტლანდის ცემენტი, მზესუმზირის ზეთი, ხმელი თევზი—„ვობლა" [illegible] თხილი, ჯაგარი, ნარმა და მიტკალი, შაქარი რაფინადი და ფქვილი, ქვა-მარილი ნახიჩევანის, რუს. მანუფაქტურა, საპონი როსტოვის და კრასნოდარის.

ოფიციალური გარიგებანი

პორტლანდის ცემენტი—7 მან. 95 კაპ., ბოჭკა, ფრანკო ბათომი—ვაგონი.

შაქრის ფხვნილი. რუს.—10 მან 15 კ. და რაფინადი ნატეხი—12 მ. 15 კ. ფ., ფრანკო „საზმარტრესტ"-ის საწყობი.

თუჯის ქვაბები.—4 და 6 ფუთიანები—28 მ.ნ ფუთი ფრანკო—გამგზავნის საწყობი.

კარბიდი.—9 კ ცალი, ფრანკო—სადგური ქსანი—ქარხანა.

[illegible] რკინა —10 გირვანქიანი—5 მან. 10 კ. ფუთი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

საფეიქრო მანქანები „ზინგერ"—700 მ.ნ თითო, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

[illegible]—52 კაპ. და 1 მ. ფუთში, ფრანკო—[illegible] საწყობი.

ბამბა—7 მან. ფუთი, ფრანკო—გამყიდ. საწყობი.

[illegible]—3 მან. 31 კ ფუთი, ფრანკო—„[illegible]"-ის ქარხანა.

საქონლის ბაზრის მდგომარეობა.

საქონლის ბაზრებს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის საერთო ბრუნვა

1—26 მაისამდე ბირჟის გარეშე დადებულია 343 გარიგება—1238491 მან. თანხისა.

თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის ოპერაციები.

(26 მაისი)

საფონდო განყოფილება.

1—26 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 112 გარიგება—სულ 404429 მ. თანხისა.

საქონლის განყოფილება.

1—26 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 119 გარიგება—სულ 735,023 მან. თანხისა.

ხორცის სექცია.

1—26 მაისამდე ხორცის სექციაზე დადებულია 272 გარიგება, სულ 182246 მან თანხისა.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატში

ვერცხლის ფული ამიერ-კავკასიაში.

[illegible]

ხურდა ფულის [illegible] ამიერ-კავკასიაში.

ხურდა ფულის ის მწვავე კრიზისი ამიერკავკასიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფულის რეფორმის დასაწყისში, უკანასკნელი ცნობების თანახმად, თითქმის სრულებით ამოწურულია: მოთხოვნილება ჩერვონცებზე და სახაზინო ბილეთებზე იზრდება. [illegible] ქაღალდის ლირა, რომელიც 20 მაისამდე თავისუფალ ბაზარზე ღირდა 1 მ. 50 კაპ., ერთი ლირის მანეთზე ნაკლები.

[illegible]

ა/კ. ფინანსთა კომისარიატი ენერგიულ ზომებს ღებულობს [illegible] სესხის გასავრცელებლად. გამოცემულია პოპულიარული ბროშურები რუსულ და ადგილობრივ ენებზე, რომლებიც ეძღვნება [illegible] კამპანიის გასატარებლად ფინანსთა კომისარიატის მიერ გამოწერილია ობლიგაციები—800 000 მანეთის, რომლებიც განაწილებულია ა/კ. რესპუბლიკათა შორის. გასანაწილებლად ობლიგაციების განაწილება მინდობილი აქვთ საკრედიტო ბანკების (სახელმწიფო და კოოპბანკი) ადგილობრივ განყოფილებებს. სესხის განაღდება დაკისრებული აქვთ აგრეთვე სხვა დაწესებულებებსაც (სახ. დაზღვევის და სხვ)

საბჭოთა სასამართლოში

გარყვნილი მამა

ა/წ. 28 მაისს ქალ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე [illegible], მსაჯული—[illegible] და [illegible], პროკურორის თანაშემწე—მაისურაძე და მდივანი—[illegible], განიხილა მოქალაქე [illegible] საქმე, რომელსაც ბრალად ედება თავისი არასრულწლოვან ბავშვების გახრწნა, მათდამი ძალმომრეობა [illegible], სისხლის აღრევა [illegible], რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ-ის 13, 171, 173 და 175 მუხლებში.

სხდომაზე დაკითხულ იქნენ შემდეგი მოწმეები: ბრალდებულის ქალიშვილები—ნატალია, ოლღა და ლიზა, ბრალდებულის [illegible], [illegible] და სხვა მოწმეთა დაკითხვიდან გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული [illegible] 8—9 წლის ქალ ნატალიას. უფროს ქალიშვილს არა ერთხელ [illegible] ლოგინში. [illegible] ბრალდებული [illegible] სასამართლოს, რომ [illegible].

სასამართლომ თავისი ძიების შედეგად საქმე საკმაოდ ნათელყოფილად სცნო და უარყო მხარეების გამოძახების საჭიროება.

განაჩენი ამ საქმეს გამო გამოცხადებული იქნება ხვალ.

მცვალებულთა მძარცველის გასამართლება

[illegible] საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე [illegible], მსაჯულნი [illegible] და [illegible], პროკურორის თან. [illegible], მდივანი [illegible]— განიხილა [illegible] ს. ს. კ-ის 187 მ 3 „გ"-ში გათვალისწინებული დანაშაული [illegible]. საქმის შინაარსი შემდეგია.

მიმდინარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში მოქალაქე [illegible] მიცვალებული, თანახმად მაჰმადიანთა ჩვეულებისა, გახვეული იყო 8—10 არშინიან ტილოში.

სათანადო ცერემონიის შემდეგ ხალხი დაიშალა, ხოლო [illegible] სასაფლაოს [illegible] და ტილოს [illegible]. ამის შესახებ მან განუცხადა მუსლიმანთა დამხმარ საზოგადოების ერთ ერთ წევრს, რის შემდეგ მილიციის თანდასწრებით გასინჯული იყო რამდენიმე საფლავი. აღმოჩნდა, რომ მიცვალებულის სუდარები ყველა დათვალიერებულ საფლავებიდან ამოღებული იყო.

წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ ბრალდება დარაჯ [illegible] მიმართ დამტკიცებულად ცნო და დათანხმებით ს. ს. კ-ის ზემოხსენებულ მუხლის მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 6 წლით სასტიკი იზოლაციით გამასწორებელ სახლში. მეორე ბრალდებული—[illegible], რომლის მიმართი ბრალდება დამტკიცებული არ იყო, განთავისუფლებულ იქნა. [illegible] ბრალდებულის [illegible] გაწეული სასამართლოს ხარჯები დაეკისრა [illegible].

მეცნიერება და ტექნიკა

ამერიკის „გენიოსობა".

ბრიტანული დემოკრატები და სოციალისტები მეორე ინტერნაციონალიდან ბევრს ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე და „კაცთა შორის ძმობა ერთობის და სიყვარულის დამყარებაზე". მაკდონალდიც, ინგლისის [illegible] პრემიერ-მინისტრი, ბევრს ლაპარაკობს ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებაზე, მაგრამ ეს არ უშლის ხელს შეიარაღების პოლიტიკის გაგრძელებაში.

„დემოკრატიული" ამერიკა ათამდი ახალ დრედნოუტს აშენებს და ამავე დროს ავიაციებს და ქიმიურ [illegible] ბრძოლის ტექნიკას.



ჩვენს სურათზე გამოხატულია უდიდესი ხარაზანი, რომელშიაც ამერიკის მთავრობა [illegible] საზღვაო გემებს. ეს ხარაზანი ფართობით უდრის 30 ვერსის მანძილს.

ახალი საშუალება სიფილისის წინააღმდეგ.

საფრანგეთში ერთ ერთ სიმდიდრობამ ახალი საშუალებით ფიფილისის წინააღმდეგ, რომელსაც „სტოვარსოლი" ანუ „190" ეწოდება. სხვა წამლებს სიფილისის წინააღმდეგ უპირატესობა აქვს, შეყვანა სისხლში, „სტოვარსოლ"-ის შეყვანა კი პირით მასალები საშუალებაა და ამიტომ მას დიდი უპირატესობა აქვს სხვა წამლების წინაშე თუ ავადმყოფობა ჯერ განვითარდა, „სტოვარსოლ" ვერ აჩენს მასზე დიდ სამკურნალო გავლენას, მაგრამ როგორც წინასწარი, გამაფრთხილებელი საშუალება, „სტოვარსოლ" შეუდარებელია. „სტოვარსოლის" მიღება მაშინვე, როგორც კი ავადმყოფობას შეაჩერებს, ხელს უშლის ავადმყოფობის განვითარებას. ამ ახალი წამლის მოქმედება შეამოწმეს ფრანგების საზღვაო ფლოტში; მეზღვაურებს.

რადიო-ტელეგრაფი მოგზაურობის დროს.

შვეიცარიის მთებში მოგზაურობის დროს ხშირად აქვს ადგილი უბედურ შემთხვევებს, იმისათვის, რათა გაადვილებული იქნეს ასეთ შემთხვევების დროს საჭირო ზომების მიღება, ყველა მის ვრცელ მთებში მოგზაურობის დროს თან ატარებენ რადიო-ტელეგრაფის პატარა აპარატებს, რომლის საშუალებით მოგზაურებს შეუძლიათ კავშირი დაიჭირონ ერთმანეთთან და საჭირო შემთხვევებში ითხოვონ დახმარება ახლომდებარე დასახლებულ რაიონიდან.



ჩვენს სურათზე გამოხატულია ერთი ასეთი მოგზაური, რადიო-ტელეგრაფის აპარატით შეიარაღებული.

ქრონიკა

■ ახალი სკოლები. თიანეთის მაზრაში განათლების ინსპექციამ შეაკეთა სათემო საშუალებით 10 სკოლა და გახსნა 6 ახალი შრ. სკოლა და 2 საბავშვო ბაღი.

■ ჭრა-კერვის სკოლები თელავის მაზრაში. თელავის სამაზრო ქალთა ადგილობრივ განყოფილებამ თელავის მაზრაში გახსნა 5 პროფესიონალური ჭრა-კერვის სკოლა.

■ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ქ. ოზურგეთის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო დამატებით გახსნა 11 სკოლა.

■ საელექტროტექნიკო დარგის პრაქტიკული კურსები. ქ. აღმასკომის სამრეწველო განყოფილებას განზრახვა აქვს ახლო ხანში თბილისში გახსნას საელექტროტექნიკო დარგის პრაქტიკული კურსები.

■ აგრონომიული მუშაობა. სამეურნეო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე, რათა აგრონომიული განყოფილების მიერ დახაზულ სეზონური სამუშაოს განსახორციელებლად გადადებული იქნას საჭირო თანხა.

■ [illegible] მექანიკური მოწყობა. ქ. აღმასკომის სამეურნეო განყოფილებამ გადასწყვიტა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება [illegible] მექანიკური მოწყობის შესახებ.

■ პირუტყვთა დაზღვევა. თბ. მაზრის საბჭოთა სამმართველომ გადასწყვიტა მოახდინოს პირუტყვის დაზღვევა სახ. დაზღვევის სამმართველოს დადგენილების თანახმად.

■ [illegible] კულტურული მუშაობა. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაავალა მაზრის [illegible] აღმასკომებს, რათა ადგილობრივ კულტურული მუშაობის საწარმოებლად მჭიდრო კავშირი დაიჭირონ ცენტრში სათანადო ორგანიზაციებთან, როგორიც არის პოლიტკომი, პროფკავშირი, ახალგაზრდათა კომკავშირი, ქალთა ორგანიზაცია, კოოპერაცია და სხ.

■ [illegible] ნაწარმოების გასაღება. [illegible] გადასწყვიტა, კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით მოაწყოს [illegible] როგორც ნედლი, ისე დამუშავებულ ნაწარმოების გასაღების საქმე გარეშე ბაზრებზე.

■ [illegible] და [illegible]. [illegible] სოფლის გლეხობას 1924 წ. განმავლობაში [illegible] მიეწოდა 31000 მან. [illegible].

■ [illegible] ავადმყოფების მიღება. ჯანმრთელობის კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკის სავადმყოფოების მთავარ ექიმებს 1 ივნისიდან შეწყვიტონ სავადმყოფოებში განსაზღვრულ რიცხვის გარეშე ავადმყოფების მიღება.

■ [illegible]. ჯანმრთელობის კომისარიატმა საჭიროდ ცნო [illegible] ფასიანი საწოლები.

■ აეროდრომი შოვში. ა.—კ. ავიაციის საზოგადოება აგარაკ შოვში აწყობს აეროდრომს.

■ [illegible]. [illegible] 30 მაისს [illegible] და 3 [illegible].

■ აგარაკებზე ავტომობილით მიმოსვლა. აგარაკებზე: ბორჯომში, ახალციხეში, აბასთუმანში და თბილისიდან კოჯორ მანგლისში ავტომობილებით მიმოსვლა დაიწყება 1 ივნისიდან.

■ პროფესიონალური ავადმყოფობანი. ა/კ. შრ. კომისარიატმა წინადადებით მიმართა ა—კ. რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატებს, რათა პროფესიონალური ავადმყოფობის და მოწამვლის შემთხვევები დაუყოვნებლივ აცნობონ მას.

■ ციებ-ცხელებასთან ბრძოლა. სრ. საქ. ექიმთა სამეცნიერო ყრილობამ დაადგინა საქართველოში გავრცელებულ ციებ-ცხელებასთან საბრძოლველად მიიღოს გადაჭრილი ზომები და ამ მიზნით შეიძინოს 10,000 კილო ქინა.

■ ალექსანდროვის ბაღის განათება ელექტრონით. ქ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ უკვე დაიწყო მუშაობა ალექსანდროვის ბაღის ელექტრონით გასანათებლად, ბაღის ელექტრონით განათების შემდეგ სიარული შეიძლება ღამის 12 საათამდე.

■ ტან-ვარჯიშის დიდი მოედნის მოწყობა. ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს თბილისში მოაწყოს ტან-ვარჯიშის დიდი მოედანი, სადაც დიდი დღესასწაულების დღეს გაიმართება ტანვარჯიშობა.

■ ციებ-ცხელებისგან [illegible]. ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების გეგმა, ქალაქებში ციებ-ცხელებისგან სავალდებულო [illegible] შესახებ.

■ კვირეული ქ. გორის [illegible]. 2 ივნისიდან საქართველოში ჩატარდება კვირეული ქ. გორის [illegible] კომიტეტის საშუალებების გასამდიდრებლად. კვირეულის განმავლობაში გაიმართება წარმოდგენები, საღამოები და მიგროვილი იქნება ყულაბებით ფული.

■ კულტ. მზრუნველობა. თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი"-ს მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომმა გადასწყვიტა მიიღოს კულტურული მზრუნველობა 31-ე შრომის სკოლაზე, სადაც სწავლობენ 400 მეტი [illegible] ბავშვები.

■ შრომის კანონთა დამრღვევთათვის. [illegible] სახალხო სასამართლომ გაარჩია 62 მოიჯარადრე დამქირავებელთა საქმე, რომლებმაც დაარღვიეს შრომის კანონები მათზე დადებული ჯარიმა განისაზღვრება 6 363 მან.

■ შრომის ბირჟა. 27 მაისს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 99 ჟურ. ახლად ჩაიწერა—80, მოთხოვნილება იყო 104, სამუშაოზე გაიგზავნა—87.

■ საქართველოს [illegible] და [illegible] საზოგადოებაში. შაბათს, მაისის 31 ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (ლენინის ქუჩა, № 1) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფესორი ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას—„საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და ეკონომიური პოლიტიკა 13—16 საუკუნეებში".

სტუმრებსაც შეუძლიათ დაესწრონ.

■ [illegible] დახურვა. [illegible] პროფესიონალური [illegible] 2—3 კვირით შენობის შეკეთების გამო.

შემთხვევები

■ ქურდობა. 23 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, [illegible] ქ. № 26. [illegible] გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. [illegible] ბინა. დაზარალებულია 40 მ ნ. ნივთები.

■ 25 მაისს, ღამის 3 საათზე ალექსანდროვის ქ. № 41, გაქურდული იქნა მოქ. [illegible] ბინა. [illegible] 74 მანეთის ნივთები.

■ ცხენის ქურდობა. 21 მაისს, ღამით, [illegible] მოქ. მარიამ [illegible] მოპარეს 2 ცხენი. ღირებული 40 მანეთად

■ შეპყრობა. 25 მაისს შეიპყრეს [illegible] და ამავე [illegible], რომლებიც ბრალდებით [illegible] მოქ. [illegible] და სამ [illegible] ცხენების გატაცება.

■ ქურდი ცოლი. 22—25 მაისამდე [illegible] ქ. № 27 გაქურდულ იქნა მოქ. სიმონ [illegible] ბინა მისივე ცოლისაგან [illegible].

■ ქურდი ქალების შეპყრობა. 26 მაისს ღამის 12 საათზე, [illegible] ქ. 33 მოქ. [illegible] ბინას [illegible] ადგილობრივ შეპყრობილ იქნენ ტატიანა [illegible] და მარიამ [illegible], რომლებსაც სურდათ გაექურდათ აღნიშნული ბინა.

■ [illegible]. 25 მაისს [illegible] ქუჩა, № 7 [illegible].

ხელოვნება

— [illegible] კავშირის სასარგებლოდ. კვირას, წითელ არმიელთა თეატრში გაიმართება სიმღერა-წარმოდგენა [illegible] კავშირის სასარგებლოდ.

— სიმფონიური ორკესტრი მუშებისათვის. პროფ. საბჭოს კულტ. განყოფილებამ გადასწყვიტა ზაფხულის განმავლობაში ლენინის სახელობის და საბჭოთა მოსამსახურეების კლუბებში მუშებისათვის მოაწყოს სიმფონიური ორკესტრები.

— [illegible] წრე. [illegible] მუშათა კლუბთან არსებულ სამუსიკო წრეში ამ ჟამად მეცადინეობს 50 მუშა.

— [illegible] მუშათა კლუბი. [illegible] მუშათა საზაფხულო კლუბი გაიხსნება მაისის 31.

— ქართველი მწერლები და პოეტები სომხურად. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ერევანში ქართველი მწერლები და პოეტების ნაწარმოები სომხურად. წიგნი დასურათებით იქნება 400 გვ. და დართული ექნება მასში შეტანილი მწერლების პორტრეტები მოკლე ბიოგრაფიებით

—

[illegible] მუშათა კლუბში

27 მაისს [illegible] მუშათა კლუბში ადგილობრივ წრის მიერ წარმოდგენილი იყო სომხურ ენაზე 3 მოქმ. ოპერეტა „[illegible]". [illegible] როლს ასრულებდა [illegible], [illegible] როლს [illegible], [illegible] როლს—[illegible], ეს წარმოდგენა [illegible] უნდა ჩაითვალოს. სასურველია, რომ წარმოდგენის ხელმძღვანელობამ მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ შემდეგში იმ [illegible], რომლითაც [illegible], რადგან ამ საღამოს [illegible] მოთამაშეს ფეხებზე.

ა. [illegible]

პროვინციაში

ფოთი

როგორც ცნობილ [illegible] საქართველოს ყველა დაწესებულებებში, ფოთი წარმოადგენს თავისი მდებარეობით ჭაობიან ადგილს, სადაც ზაფხულობით ციებ-ცხელება ძლიერ არის გავრცელებული და მრავალი შემთხვევები სიკვდილით თავდება. რასაკვირველია, ადგილობრივი [illegible] დიდ ყურადღებას აქცევს ამ მოვლენას და ყოველ ძალ ღონეს ხმარობს, რომ დაზარალებულებს მიაწოდონ თავის დროზე წამლები და სამედიცინო დახმარება.

მაგრამ ყველა მცხოვრებლები დახმარებული ვერ არიან. რჩებიან ბევრი უღარიბესი მცხოვრებლები, რომლებსაც უნდა მიეწოდოთ უფასო სამკურნალო დახმარება.

მიიღო რა ეს მხედველობაში, ფოთის წითელი ჯვრის კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა 29 აპრილს, რომ წითელი ჯვრის საზოგადოებას გახსნას უფასო ამბულატორია ფოთში უღარიბეს მცხოვრებლებისათვის და მიეწოდებია შეძლებისდაგვარად მედიკამენტები.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ფოთში ძალიან გავრცელებულია მალარია, მაგრამ ეს არ სცოდნიათ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და ფოთის კომიტეტს შუამდგომლობაზე უარით უპასუხა.

[illegible] იმით, რომ წითელ ჯვარს არ აქვს საშუალება (მატერიალური), რომ ასეთი დახმარება გაუწიოს ფოთს. ჩვენ ვიცით ზოგიერთი წყაროებიდან (გაზეთებიდან), რომ მას აქვს საკმაო ქონება და სხვ. ამ [illegible] შეუწყნარებელია წითელი ჯვრის ფოთის კომიტეტი განმეორებით სთხოვს მთავარ კომიტეტს მის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. ვნახოთ, რას იტყვის საქართველოს წითელი ჯვრის მთავარი კომიტეტი!

პ. [illegible]შვილი.

სოფ. ალბულაღი (გარე-კახეთი)

ჩვენი სოფელი მდებარეობს 3 [illegible] და საგარეჯოს შუა. სოფელში [illegible] 120 კომლი [illegible] სწავლა განათლების მხრივ სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია. გარდა მასწავლებლისა, სოფელს არა ჰყავს არც ერთი ნასწავლი პირი. მიზეზი ჩამორჩენისა იყო სკოლის უქონლობა. სოფელს არა ჰქონდა სასწავლებელი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ დაარსდა 4 წ. შრომის სკოლა და წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. გახსნა ქოხ-სამკითხველო. ახალგაზრდობა სწავლობს წერა-კითხვას და ეწევიან სწავლა-განათლებას. სწავლა განათლების სურვილით გატაცებულმა ხალხმა წარსულ წელს განიზრახა ორკომპლექტიანი სკოლის შენობის აგება და შეუდგა კიდეც განზრახვის სისრულეში მოყვანას. წარსული წლის სექტემბრიდან სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. [illegible] საქმე აქ კი საჭირო [illegible] დახმარება, ვინაიდან შენობისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა აქ არ მოიპოვება და ამის შეძენა კი ამისთანა პატარა სოფელს, როგორც [illegible], ძლიერ გაუჭირდება.

წარსულ წელს ჩვენი სოფლის მზრუნველობა თავს იდვეს ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშებმა, შეფებმა, როგორც ჩვენი ხალხი ეძახის მამობილებმა. ისინი ხელს უწყობენ ხალხის გამოფხიზლებას, [illegible] სოფლისა და სკოლისათვის. უფასოდ გზავნიან [illegible] წიგნებს და ყველა საჭირო საწერ ნივთებს. ისე რომ წელს მოწაფეებს [illegible] ფულით ერთი კალამიც არ უყიდნიათ. უგზავნიან ქოხ-სამკითხველოს წიგნებს, გაზეთებს და სხვა. სოფელს მოუტანეს უფასოდ ორი [illegible] გამართული ახალი სისტემის გუთანი, რომლის [illegible] უნდა [illegible] სამკითხველოს. სოფელი მეტად მადლიერია სხენებული შეფებით. თავიანთი [illegible] მოპყრობით და დარიგებით ხალხი მიიზიდეს. ამისათვის არის, რომ ხალხი სიამოვნებით შეხვდება ხოლმე სოფელში ამათ მოსვლას, ამათ მოსვლისას სოფელს დაედება ხოლმე სადღესასწაულო ელფერი. იმართება მიტინგი, კრებები, მოწაფეები მღერიან, თამაშობენ, კითხულობენ ლექსებს და სხვა.

წელსაც პირველი მაისისათვის გვეწვიენ ჩვენი შეფები ნ. [illegible], ამ. [illegible] და მ. მარტიროსოვისა. ამ დღეს საზეიმო სახე ჰქონდა სოფელს. გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო მთელი სოფლის კაცი და ქალი, დიდი და პატარა. [illegible] ხალხი [illegible] ხელში და მოწაფეები მორთულნი წითელი ლენტებით, სიმღერით [illegible] შემოუარეს ს. [illegible] სადაც 6—7 ათასამდე კაცს მოეყარა თავი. მიტინგზედ ითქვა მრავალი სიტყვა. სხვათაშორის სიტყვები წარმოსთქვეს ჩვენმა შეფებმაც, რომლებმაც განმარტეს 1 მაისის მნიშვნელობა.

მეორე დღეს ხალხმა ზეიმით გააცილა ძვირფასი სტუმრები.

მას. მდ. [illegible]

საზაფხულო პედაგოგიური კურსები სენაკის მაზრაში

სენაკის მაზრის განათლების განყოფილებას განზრახული აქვს [illegible] წლის ზაფხულზე გახსნას მასწავლებლებისათვის საზაფხულო კურსები, ისე როგორც ეს გასულ წელს მოხდა. გასული წლის პედაგოგიურმა კურსებმა ფრიად მნიშვნელოვანი ნაყოფი მოუტანა მაზრის სწავლა-განათლების საქმეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის სასწავლო საქმე 60—80 პროცენტით გაუმჯობესებულია. მისი პედაგოგიური ხაზი რევოლუციურ დონეზე [illegible] და სკოლებში თითქმის ყველგან რევოლუციონურად განწყობილი მასწავლებლობა არის თავმოყრილი. მიმდინარე წლის მასწავლებლობა ენერგიულად მუშაობს როგორც პედაგოგიურ პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ სფეროში პოლიტწრები, ლიტერატურული წრეები, ხელნაწერი ჟურნალების გამოცემა და სხვა ფორმით გავრცელებულია მაზრის მასწავლებლებში. ყოველივე ეს ნაყოფია შარშანდელი პედაგოგიური კურსების, რომელიც მეტად საქმიანი, შინაარსიანი და ნაყოფიერი იყო. გასული წლის კურსებმა მოისმინა ახალმა მასწავლებლობამ, იმ მასწავლებლობამ, რომელმაც ამ პროფესიას რევოლუციის შემდეგ მოკიდა ხელი. [illegible] რევოლუციონური ელემენტები [illegible], წარსული პედაგოგიური კურსები

მუშათა ცხოვრება

რკინისგზელ მუშებში.

რკინისგზის მთავარ სახელოსნოს ვაგონების შემკეთებელ განყოფილებაში 800 დე მუშა (მეინკლები, მესახურავეები და სხვ.) მუშაობს. ცალკე ბრიგადებში 15—20 კაცია. [illegible] უწინდელთან შედარებით მუშათა ნაკლები ირიცხება ამჟამად, მაგრამ მუშებს მუშაობა არ უჭირთ და თვეში 70—80 მდე საბარგოს და 8—10 სამგზავრო ვაგონებს უშვებენ.

მუშები ჯამაგირს საშუალოდ 45—50 მანეთს იღებენ; [illegible] 1 წყვილი. ჩვენი მუშები პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას საკმაოდ ეტანებიან. ლენინის პარტიაში 50 მუშა შევიდა. დანარჩენები მეცადინეობენ [illegible]; 90 პროც. კოლექტიური ხელმოწერით გაზეთს ყოველთვიურად [illegible].

აღსანიშნავია მათში საბინაო კრიზისი. განსაკუთრებით ამ მხრივ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. საჭიროა ზომები და დახმარება.

ინფ. მ—ძე.

—

№ 1 გამასწორებელ სახლის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ ტრამვაით მიმოსვლა უფასოთ

(ქალ. ალმასკომის და ხაზების მოსამსახურეების პროფკავშირის საყურადღებოდ).

ყველას მოეხსენება, თუ რამდენ მანძილზეა დაშორებული № 1 გამასახლი ქალაქიდან, თვითონ ხელფასს ჩვენი თანამშრომლები, ისედაც ცოტას, ღებულობენ სულ 17 მან. და 16 კაპ. უმეტესობა კი ცოლშვილიანნი არიან, რომლებსაც თავის კმაყოფაზე ჰყავთ ოთხ-ხუთი სული სარჩენი. რა ქნან იმ თანამშრომლებმა, რომლებიც დაშორებული არიან გამასახლიდან ოთხ-ხუთი ვერსის მანძილით და მით პატარა ხელფასს [illegible]. იმათ ტრამვაით რომ იარონ, თავისი ხელფასი მარტო ტრამვაისათვის არ ეყოფათ. კარგი იქნება, ვისაც ამ საქმის მოგვარება ეკუთვნის, მიაქციონ ყურადღება და გამოიყვანონ ჩვენ მუშა მოსამსახურეებს ამ გასაჭირიდან: უნდა მოგვეცეს მაინც საშუალება ტრამვაით უფასოდ მიმოსვლის მე 4 ნომერ ტრამვაით № 1 გამასახლიდან № 2 გამასახლამდე. ამით არაფერი დაშავდება და ჩვენი მუშა მოსამსახურეები ტრამვაით მაინც უზრუნველყოფილნი იქნებიან.

მუშკორი: ა. დ. მახარაძე.

—

ნუ გვანადგურებთ

(ქალაქის ალმასკომის საყურადღებოდ).

მე-11 უბანი არის მუშათა უბანი და მას ეწოდება „ლენინის უბანი".

ამ დიდ მუშურ სახელით დასახელებულ უბანში არის მშვენიერი დიდი თვალ გადაუწვდენელი, ჯერ კიდევ ნორჩი, ბაღი სახელდობრ „[illegible]".

ეს ბაღი მენშევიკურ ბატონობის დროს ძლიერ გავერანებული იყო და არც ყურადღებას აქცევდნენ, ვინაიდან მათ ასეთებისათვის არ ეცალათ.

საქართველოს გასაბჭოებიდან ხსენებულ ბაღს დიდ ყურადღებას აქცევს და ხელს უწყობს ალმასკომი მზრუნველობის მხრივ შეძლებისდაგვარად. ეს ბაღი არის „ლენინის უბნის" მაღლობზე გაშენებული.

ხსენებულ ბაღს აქვს ცენტრალურ ალაგას მშვენიერი დიდი, გაშლილი, სასეირნო მოედანი; იქვე არის წყალსადენის მილი გამოყვანილი; არის გასართობი სავარჯიშო იარაღები; მოედანი მწვანით არის შემოსილი, სადაც თავისუფლად დაეტევა რამოდენიმე ათასი კაცი, მაგრამ, საუბედუროდ, მოედნის ნაპირზე მას არა აქვს ღობე შემოვლილი, რის მიზეზით მოედნიდან ხალხი შედის ახლად გაშენებულ ნორჩ ბაღში, იქვე შედიან ბავშვებიც, რომლებიც ამტვრევენ ტოტებს და შეუბრალებლად ანადგურებენ ხეებს. ამ სურათის მნახველ მოქალაქეს არ შეიძლება გული არ ატკინოს და რაღაც არა სასიამოვნო შთაბეჭდილება არ დასტოვოს მასზე. ძალიან კარგი იქნება ამას თავის დროზე მიაქცევდეს ქალ. ალმასკომი ყურადღებას, თორემ ამ ზაფხულში, (აქ მრავალი ხალხი გროვდება სასეირნოდ) უეჭველია, ბაღი განადგურდება და მის აღსადგენად ალმასკომს ამაზე მეტი დაეხარჯება. მასთან ძალიან სასიამოვნო იქნებოდა რომ ხსენებულ ბაღს გამოსცვლოდა სახელი რომელიმე ჩვენ ბელადთა სახელის შეცვლით და მგონია, როგორც მუშათა უბანში ძალიან კარგი და სასიამოვნო იქნებოდა მთელი მუშებისათვის, რომ სასეირნო მოედანზე დადგმულიყო მუშათა და გლეხთა ხალხის საყვარელი ბელადის ლენინის ძეგლი, რომელიც უნდა გამოუყურებდეს მუშებს და შრომის [illegible] მშრომელთა უბანში.

ლადიკო მახარაძე.

—

დაუშვებელი უწესოება მუშტაიდში.

(ალმასკომის საყურადღებოდ).

„ბაღები ქალაქის ფილტვებიაო" ამბობენ მეცნიერები. მაგრამ ხშირად ხალხი ვერ [illegible] კაცი ისეთი ბაღით, როგორიც არის მუშტაიდი. მთელ ამ მუშათა უბანში მუშტაიდი ერთად ერთი ბაღია, სადაც მშრომელს შეუძლია თავისუფალ დროს დაისვენოს. აქ კი ეს შეუძლებელი ხდება შემდეგი ყოვლად მიუღებელი უწესოებების გამო. [illegible] მიმავალი ეტლები განსაკუთრებით [illegible] მუშტაიდით. განსაკუთრებით იზრდება ეტლთა მოძრაობა უქმე დღეებში და უფრო იმ დღეებში, როდესაც დიდუბეში იმართება დოღი და რბენა. ამ დღეებში მოქეიფე მოსეირნე თითქმის ყოველთვის „ფაეტონებით" მიაქანებენ თავის ეტლებს ამ ბაღით. სდგება ისეთი საშინელი მტვერი და კორიანტელი რომ შეუძლებელი ხდება სუნთქვა იქვე ბაღში, [illegible] მოსულ მოქანცულ მუშა-მოსამსახურეთათვის. საქმეს კი ადვილად შეიძლება შველა. საჭიროა მხოლოდ, მოსეირნე საზოგადოებას აეკრძალოს მუშტაიდში ეტლით გავლა, და აუცილებელია ბაღის გასუფთავება.

მუშკორი ა. ნ.

—

მოუმატეთ ერთი ვაგონი!

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

ორთაჭალის მიმართულებით, განსაკუთრებით ხუთშაბათობით და უქმე დღეებში, ტრამვაიზე მოგზაურების რიცხვი დიდათ იზრდება. მაგრამ ამ ხაზზე მხოლოდ ერთი წყვილი ვაგონი დადის, რაც სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მგზავრები იძულებული არიან [illegible] ვაგონი [illegible] შესაძლებლობამდე. არ რჩება ვაგონის არც ერთი პატარა ადგილი, სადაც არ იყოს დატკეპნილი კაცი, რაც საგრძნობლად [illegible]. ყოველ წუთს არის საშიშროება მისი, რომ ვინმე დასახიჩრდება. კონდუქტორები ძალიან არიან [illegible] ამ მოვლენას.

[illegible] ტრამვაის დირექციამ რამენაირად უნდა მოახერხოს ამ დღეებისთვის მაინც მიაბას ერთი ვაგონი.

მუშკორი [illegible].

—

შეკითხვა სახელმწიფო უნივერსიტეტს

უკვე თოთხმეტი დღეა, რაც სტუდენტებმა გაათავეს მედიკური ფაკულტეტი. მიუხედავად ამისა, მათ ჯერაც არ მიუღიათ მოწმობა, რის გამო ვერ წასულან სახლში, სოფელში. ბევრი მათგანი კი პროვინციიდან არის. აქ 15—20 დღით მოცდა ღარიბ სტუდენტებისათვის არც ისე ადვილია. თქვენ კი მოწმობას არ აძლევთ მათ, რადგანაც ვერ დანიშნეთ [illegible]. კარგი კი იქნება, რომ დანიშნოთ დეკანი და სტუდენტებს მისცემდეთ თავის დროზე მოწმობებს, რომ მათ არ მოუხდეთ აქ ზედმეტად გაჩერება.

[illegible].

—

საჭიროა ტრამვაის ვაგონი

(თბ. ტრამვაის დირექციის და ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

დიდუბის (ტრიალეთის) უბანში უკვე დიდი ხანია გაყვანილია ტრამვაის ხაზი რკ. გზის მთავარ სამმართველოდან—დიდუბის ეკლესიამდე. ამ ხაზზე ოდესღაც მუშაობდა ორი რონოდა (ვაგონი), მაგრამ ამ რონოდებს მუშაობა შეწყდა, თითქოს არ ყოფილა ამის ღირსი ეს მუშათა უბანი „დიდუბე".

ნათქვამია: ახალ [illegible] გამოჩნდებაო" სწორედ ასეა აქაც. მხოლოდ ერთი რონოდა მუშაობს მაშინ, როდესაც იმართება დოღი.

რაშია საქმე? ისედაც ეს უბანი დაბალ საფეხურზე სდგას განვითარების მხრივ და უფრო უნდა შევმატოთ მას რამე, თუ უნდა დავაკლოთ

ტრამვაის დირექციავ! დაგვითმეთ ნახევრად ერთი რონოდა ჩვენი უბნისთვის, რომ იმუშაოს ყოველ დღე ისე, როგორც სხვაგან. მე მგონია, რომ ეს არავითარ ისეთ ზარალს არ მოგაყენებს თქვენთვის, მაგრამ ამ უბნისთვის კი თითქოს რაღაც [illegible]. ამასთანავე უფრო კარგი იქნებოდა, რომ ეს ხაზი გაგრძელებულიყოს ეკლესიის იქითაც—თუნდაც [illegible] მაინც.

ინფ. ალ. [illegible].

—

პატარა მსახიობები.

ამ დღეებში მე 40 შრომის სკოლაში გაიმართა საბავშვო სალიტერატურო დილა, რომელსაც ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო და ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. პატარა ბავშვებმა დიდებულად და მოხდენილად შეასრულეს თავისი მოვალეობა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად. მოუთავსებელი დარბაზი, რომელშიც წარმოდგენა მიმდინარეობდა ძლივს იტევდა ხალხს. ბავშვებს დიდი მხიარულება ეტყობოდათ, რადგანაც [illegible] საშუალება მიეცათ დღესასწაულის გამართვის. [illegible] ოფიციალური ნომრებისა, პროგრამაში სხვა და სხვა ნომრებიც იქნა შესრულებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სკოლის თანამშრომლები საერთოდ [illegible] მუშაკებია. მშვენივრად გამართეს [illegible] მე 3 ჯგუფის მოწაფეთ, [illegible] გაბედულათ დაამთავრეს [illegible] სიტყვები. [illegible] „[illegible]"-ში კარგი იყო [illegible] № [illegible] [illegible] კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

საერთოდ დიდი მადლობის ღირსია სკოლის გამგე ს. წერეთელი და ამავე სკოლის თანამშრომლებიც, რომ ენერგიას იჩენენ და მოუთავსებელ დარბაზშიაც მოწაფეებს და მათ მშობლებს სულიერ საზრდოს აძლევენ.

საჭიროა მოუთავსებელ დარბაზის დროზე მოთავსება, რისთვის ალმასკომმა უნდა გაიღოს სათანადო თანხა.

მუშკორი ლომინაძე

—

პასუხი ინჟინერ შორაპნელს

(იხ. „კომუნისტი" № 100).

გაზ. „კომუნისტის" № 100-ში იყო მოთავსებული ინჟინერ [illegible] შორაპნელის წერილი შესახებ იმისა, ვითომც მე შორაპნის მუშა მოსამსახურეებს ვეპყრობოდე უკანონოდ,—რის გამო პროფკავშირის წევრობიდან დათხოვნილი ვიყო და მოითხოვს სამსახურიდან ჩემს დათხოვნას. [illegible] რას ეძახით, თქვენ, ბ-ნო შორაპნელო, უკანონო მოპყრობას?! [illegible] მუშა-მოსამსახურეებს? არა თუ ვისმეს მატარებელში ბილეთი მოვთხოვე, ეს ჩემს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს და სწორედ ამისთვის მაძლევენ ჯამაგირს, რომ მატარებელში უბილეთო მგზავრები არ იქნეს. არავითარ მუშა-მოსამსახურეებს ჩემზე საჩივარი არა აქვთ რა. მე მათ ძალიან ხელს ვუწყობ და ყველას პატივს ვსცემ შეძლებისდაგვარად. რაც შეეხება კავშირიდან გამორიცხვას,—ამის შესახებ მოგახსენებთ ბ-ნ შორაპნელს, მე მართლაც, შარშან გამომრიცხეს კავშირიდან და სამსახურიდანაც მითხოვდნენ, მაგრამ საცენტრალო კომისიამ რკ. გზ. პროფკავშირის წინადადებით მისცა ჩემი საქმის გარჩევამდის არ მოეცილებინათ არც კავშირიდან და არც სამსახურიდან. ამ ჟამად სრულიად გამართლებული ვარ ყველა ბრალდებებისაგან. [illegible] და შევეკითხოთ იქაურ მუშა მოსამსახურეებს და ორგანიზაციის წარმომადგენლებს, თუ როგორ ვეპყრობი მათ კანონიერად, თუ უკანონოდ. თითქმის [illegible] ერთი წელიწადია, რაც ქუთაისში გადმოვედი და აქ ვმუშაობ. კარგად მიცნობს ყველა მუშა მოსამსახურე და პატივსაც მცემენ. ვისმეს წინაშე მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის.

ვფიქრობ, რომ ინჟინ. შორაპნელის წერილი ალბად გაუგებრობაზეა აგებული.

მატარ. რევიზორი ამაშუკელი

მათზე ფრიად სასურველ გავლენას მოახდენდა და სკოლაში ახალ სისხლს შეიტანდა. ეს ასეც მოხდა, ამას ჩვენ აშკარად ვხედავთ.

მაგრამ ამასთანავე წითელი პედაგოგიური კურსები მოსმენილი არა აქვთ ზოგიერთ წოდებულ ძველ პედაგოგებს, იმ 3 დ ჯგუფებს, რომელთაც მეფის დროს დიდი ხანი უმასწავლებლიათ.

ასეთი მასწავლებლობისათვის აუცილებლად საჭიროა კურსების გახსნა. ეს კურსები გადაახალისებენ მათ, როგორც პედაგოგიურად, ისე პოლიტიკურად.

სწორედ მიმდინარე წლის საზაფხულო პედაგოგიურმა კურსებმა პირველად ამ ელემენტებს უნდა დაუბაროს. განათლების ინსპექციამ სწორედ ასეთი მასწავლებელი არ უნდა დასტოვოს წლევანდელი კურსების გარეშე.

კურსებზე უნდა იქნენ დაშვებულნი აუცილებლად ის მასწავლებელნიც, რომელნიც მიმდინარე წელს დაინიშნენ და კურსები არა აქვთ მოსმენილი.

საჭიროა აგრეთვე კურსებზე იმ პირების დაშვება, რომელთაც აქვთ საკმაო ცოდნა და სტაჟი პედაგოგიური, ხოლო დღეს მასწავლებლად არ არიან და მომავალში კი სურთ მასწავლებლობა. ჩვენ ამით შევძენთ ახალ ძალებს ახალი სკოლებისათვის.

გარდა ამისა, კურსების მოწყობას [illegible] ქ. სენაკიდან ორი ვერსის მანძილზე მდებარე, [illegible] მთაზე, ქალთა მონასტერში ეს მეტად სასურველია. უნდა გადავლახოთ ყოველგვარი დაბრკოლებები და მიმდინარე კურსები გავხსნათ აღნიშნულ ადგილას.

ვფიქრობ, რომ განათლების განყოფილება გაამართლებს მასწავლებელთა იმედებს და ამით შესძლებს მისცეს მათ კურსებიც მოისმინონ და ზაფხულიც სუფთა ჰაერზე გაატარონ.

ზაქარია ფუნანოშვილი.

მადლობა პირველი სტამბის მუშებს

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოქალაქე რედაქტორო, გთხოვთ შეძლება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო პოლ. განყ. **პირველ სტამბის** მუშებს, რომელთაც ჩვენში იშვიათი გულმოდგინებით და სიყვარულით ამეწყვეს და დაბეჭდეს ჩემი მოთხრობების 1 წიგნი. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პირველი სტამბა, გარდა იმისა, რომ სათანადოთ არის გამართული და მოწყობილი, სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს პერსონალურ შემადგენლობის მხრივაც:—დიდი კულტურული მოვლენაა ის გარემოება, რომ ხსენებული სტამბის მუშებსა და მოსამსახურეებს შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა წიგნის წინაშე, და საქმისადმი სიყვარული ისე შეთანხმებული დისციპლინასთან, რომ მათთან მუშაობაში სიამოვნებას გრძნობთ. განსაკუთრებით მინდა ჩემი მადლობა მოვუძღვნა: სანდრო მჭედლიშვილს (გამგეს), ილიკო ხოსიტაშვილს (უფროს ტექნიკოსს), იოსებ ფურცელაძეს (მეტრანპაჟს), მაჭავარიანს (ასოთ ამწყობს) [illegible], რომლებიც ჩემს წიგნზე მუშაობდნენ.

პატივისცემით ლეო ქიაჩელი.

27 მაისი 24 წელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის სავალდებულო დადგენილება

1924 წ. მაისის „7" ქ. თბილისი.

[illegible] და სხვა და სხვა გასართობ ადგილებზე შესასვლელ ბილეთების ხელზე გაყიდვის აკრძალვის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) აკრძალულ იქნას საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში თეატრების, ცირკების, სალამოების და ყველა გასართობ ადგილების შესასვლელ ბილეთების ხელზე გაყიდვა, ადგილობრივ ალმასკომების და ავტონომიურ ერთეულთა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების და ქალაქ თბილისში მ | გ. მილიციის უფროსის ნებადაურთველად.

2) ამ დადგენილების დამრღვევთათვის დამნაშავე დაჯარიმებულ იქნება ადმინისტრაციული წესით 100 მანეთამდე, ანდა ორი თვემდე ციხეში დაპატიმრებით.

3) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოად. დ. ტალახაძე.

საქმეთა-მმართველი ი. თაზიშვილი.

სამილიციო განყოფილების უფროსი ბ. ბერია.

დადგენილება № 90

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის აპრილის „15"

იმ თანამდებობათა [illegible], რომლებზედაც შეიძლება მუშა-მოსამსახურე დაინიშნოს შემდეგი რეგისტრაციის წესით.

დამატებათ 39-№ ით და 1923 წლ. 13 მარტის თარიღით გამოცემულ ა | კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებისა, ა | კ. ფედერაციის ტერიტორიაზე რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კომ. და ს. რ. პ. ქ. ც. ს. 1923 წლ. 19 თებერვლის დადგენილების „[illegible] კვალიფიკაციის და აგრეთვე პირადი და პოლიტიკური ნდობით აღჭურვილი მუშაკების დაქირავების წესის" გავრცელების შესახებ, ა—კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა შეავსოს აღნიშნული დადგენილება ქვემოთ ჩამოყვანილი თანამდებობათა სიით, რომელნიც (თანამდებობანი) შეიძლება დაკავებული იქნეს შრომის ბირჟის გარეშედაც, შემდეგი რეგისტრაციის წესით.

მე 4-ე § ით სამსახურთა და ნაწილების უფროსები და მათი თანაშემწენი; მთავარი სახელოსნოების და დეპოს უფროსები; მორიგეები დეპოში; დისტანციების, გზ. ნაწილების უფროსები და მათი თანაშემწენი; გამოკვლევათა და გამოკვლევის ჯგუფების უფროსები და მათი თანაშემწენი; შენობების ზედამხედველები და მათი თანაშემწენი; ძალიანი ელექტრონის სადგურების გამგეები; წარმოების ხელმძღვანელი [illegible], კონდუქტორთა ბრიგადების გამწესრიგებელნი, არტელის მამასახლისები, რემონტის უფროსი მუშები, [illegible]-მემანქანენი, კონდუქტორები, დამრიგებლები, შეიარაღებული დაცვის აგენტები.

მე-5-ე § [illegible], „[illegible]"-ს სატრანსპორტო აგენტურების უფროსები და მათი თანაშემწენი, მსხვილი სადგურების ატამანები და მათი თანაშემწენი, [illegible] და მათი თანაშემწენი, [illegible], [illegible] და მათი თანაშემწენი, [illegible] და მათი თანაშემწენი, [illegible] და მათი თანაშემწე ზედამხედველები ნავთსადგურებში, ბრანდვახტების უფროსები, გემთა ამოზიდვის სამუშაოების უფროსები, ნავთსადგურთა კაპიტნები, [illegible] ნავთსადგურთა კაპიტნები, [illegible] ბიუროს უფროსები, [illegible] სადგურების გამგეები, ქარხნების გამგეები, საკონტროლო პუნქტების გამგენი, შკიპერთა-ნაცვლები, [illegible] (სტარშინები) ყველა სპეციალობის მეთაურები.

მე-7-ე § ამბულატორიების გამგე ექიმები, საპროტეზო და მედიკური სახელოსნოების გამგეები.

მე-10 §-ით საპატიმროების [illegible], რომელთაც აბარიათ საპატიმროთა საწყობების ქონება, მისი მიღება და გაცემა-განაწესება.

მე-11 § ბუღალტრები, რომელთაც აქვთ საერთო საბუღალტრო სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა, ხოლო იმ სპეციალობაში, რომელსაც ეკუთვნის შემოსავალი სამუშაო სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა. ფრაზა „ბუღალტრები, რომელთაც აქვთ სპეც წარმოებითი სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა"—გამოკლებული უნდა იქნას, სამმართველოების და სამსახურთა არქივარიუსები, საქონლის ბირჟების საბირჟო მოხელეებათა მაკლერები.

მე-13 § უფროსი ათის თავები, [illegible] კონსტრუქტორები, საგზაო და [illegible] მოწყობილობათა მექანიკები, რკინის გზების შენებაზე ცენტრალიზაციის მექანიკები. ყველა სპეციალობის ინსტრუქტორები, ამქრის და წარმოების გამგენი. [illegible] ბის, ბირჟების ამქრების გამგენი"—გამოკლებული უნდა იქნეს. მუშაობის ხელმძღვანელი [illegible], [illegible] ტექნიკურ სამუშაოების წარმოებნი. მანქანის, მექანიზმების და სხვა ტექნიკურ მოწყობილობათა მოქმედების უსაფრთხოებაზე ზედამხედველი ტექნიკური ზედამხედველობის ტექნიკოსები. გარაჟების, ტყის სახერხი ქარხნების გამგენი, მასალის დამზადება-მომარაგების გამგეები, ტყის დამზადების გამგენი.

მე-14 § დისპეტჩერები, მეგზურები, ტარიფის გამგენი ტრანსპორტზე, ტელეგრაფის ზედამხედველნი, უფროსი ტელეგრაფისტები, ბიდის დირიჟორები, საბაჟოს სამმართველოს 1-ლ ნაწილის სპეციალისტები, კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოში: ბრანდმაიორები და ბრანდმეისტრები.

მე-15 §-ი 1-ლი და მეორე საფეხურის საცდელ-საჩვენებელ სკოლების მასწავლებელთა პერსონალი, განათლების სახ. კომისარიატის საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებათა საბავშვო სახლების და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელები და აღმზრდელები, 1-ლ და მე-2 საფეხურის საბჭ. პარტიული სკოლების და პოლიტკურსების მასწავლებლები, მცირეწლოვანთა საქმეების გამგე კომისიების თავმჯდომარენი, საბავშვო სახლები და დეფექტიან (მორალურად დეფექტიურ, ბრმა, ყრუ-მუნჯთა და მახინჯ) ბავშვების პედაგოგიური პერსონალი, სოციალ-[illegible] დაცვის პირველადი დაწესებულებების (მისაღები და [illegible] პუნქტები) პედაგოგიური პერსონალი სასკოლო დაწესებულებების და ინტერნატის ტიპის, (საბავშვო სახლები, საბავშვო ქალაქების და სკოლა კომუნების) დარაჯები.

მე-16 ფსიქიატრიულ დაწესებულებათა ექიმები, უბნის ექიმები, რაიონული ექიმები, [illegible] დახმარების ექიმები, დეფექტიური ბავშვებისთვის მოწყობილი საბავშვო სახლების სამკურნალო პერსონალი, ტარიფიკატორები (სამედიცინო ნაწილში).

მე-17 ლექტორები,—მთავარ ლიტში: ინფორმატორები, რუსული და უცხო ლიტერატურის ხელნაწერების რეგისტრატორები და კორექტორები.

მე 30 § 1-ლ და მე-2 ნაწილის სტატისტიკოსები [illegible], რომელნიც მოწვეულნი არიან დროებით სამუშაოზე არა უმეტეს ორი თვისა ვადით აღწერის და სპეციალურ დათვალიერების საწარმოებლად და დასამუშავებლად.

მე-21 მაღაზიების და საწყობების დარაჯები (მცველები) შეიარაღებული დაცვის დარაჯები, კონტროლიორები, აგენტები ქალაქის რკინის გზებზე, სადილოების გამგეები, მეურნეობის გამგებელ-ეკონომები, ინკასატორები-არტელშჩიკები, მეაწყობეთა თანაშემწენი, მძიმე ბარგის გადაზიდვის [illegible], ფულადი და საქონლის გადაზიდვის დავალების შემსრულებელი აგენტები, [illegible] (ზაკროიშჩიკები), რომელნიც დამოუკიდებლად აწარმოებენ ზომის აღებას და გამოჭრას.

ა | კ. შრომის სახ. კომ. მოადგილე: ა. იაშვილი.

ა | კ. შრომის სახ. კომ. საერთო სამხ. გან. გამგე ორლოვ-მალახოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი კატეგორიულ წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წარმოადგინონ მასალები დ [illegible], ჯარიმების დათვალიერების შესახებ: [illegible]ლევიშვილს, ილიკო ჭელიძეს, როტინოვს, მარიამ [illegible]-შვილს, გრიშჩენკოვს, [illegible]ცოვს, ჩედიშვილს და ჯანიბახჩიევს.

მდივანი: მასხულია.

— **ხუთშაბათს**, 29 მაისს საღამოს 6 საათზე მუსიკისა და გალობის მასწავლებელთა წრე.

პარასკევს, 30 მაისს საღამოს 7 ს. საათზე რუსული ენის მასწავლებელთა წრეში რეფერატი ლუნაჩარსკის წიგნზე „[illegible] ხელოვნებაზე".

ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე არა რუსულ სკოლების რუსულ ენის მასწავლებელთა წრის კრება.

განცხადებები

ოლღა დიმიტრის ასული და ნიკოლოზ იოსების ძე პოპიაშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 26 ამა მაისს დღის 12 საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი შვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ასპირანტი

ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე

პოპიაშვილი

დაკრძალვა 29 მაისს ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ელისაბედის ქ. № 21 ნაშუადღევის 4 საათზე. 1074—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ელენე და ნიკოლოზ მიხეილის ძე, მეუღლე სოფიო ნიკოლოზის ასული [illegible] და ძმა იოსებ ნიკოლოზის ძე პოპიაშვილნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ასპირანტი

ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე

პოპიაშვილი

დაკრძალვა 29 მაისს ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან ელისაბედის ქუჩა № 21 ნაშუადღევის 4 საათზე 1074—I—1

ღრმად დამწუხრებულნი, [illegible] აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ა | წ. 26 მაისს დილით ხის ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი გულითადი მეგობარი და ამხანაგი

ზაქარია (შაქრო) ნიკოლოზის ძე

პოპიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან (ელისაბედის ქ № 21) 29 მაისს ნაშუადღევს 4 საათ. 1076—1—1

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუზაშვილი და მეუღლე მისი ელისაბედი სვიმონის ასული, დედები მარიამი, ლიზა, ნინა, თამარა, მარინე, ძმა იოსები მეუღლეებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი შვილის

გიორგი ალექსანდრეს ძე

უგუზაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო, გადახდილ იქნება პანაშვიდი, ხუთშაბათს 29 მაისს, ქაშვეთის ეკლესიაში დილის 10 საათზე

1070—1—1

თბილისის მუშათა მთლიანი კოოპერ. საგაჭრო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1 ივნისს, დილის 10 საათზე მთავარ საწყობში კირკას ქუჩა № 7, შესასვლელი დიდი მთავრის ქუჩიდან დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება

სხვადასხვაგვარი ძველი ავეჯეულობა, ხერხები „[illegible]" ცულები, ცულები „ნაციონალ", სხვადასხვა სისტემის საკერავი მანქანები, დიდი წონით „[illegible]" ბოთლები, მოძრავი სამზარეულოები, საწრეტები ერბოს გამოსაღებად წყალსადენისათვის საჭირო თუჯის ნაწილები და სხვადასხვა ნივთები.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის სავაჭრო განყოფილება.

3—3 ნომ. 1163

შვებულებაში და აგარაკებზე

მიმავალ მოსამსახურეთ მუშათა და სხვა მოქალაქეთა

საყურადღებოთ

საოჯახო ბარგის და ავეჯეულობის ქურდობიდან და ცეცხლიდან დაზღვევის მიზნით, თბილისის და ბაქოს ქალ. სადგურებში არსდება შესანახად მიღება ასეთებისა.

ნივთები მიიღება შეკრული და უმისოდაც, სრული გარანტია მისი დაუზიანებლად შენახვით.

ნივთები მიიღება საფასურის გამოცხადებით.

შესანახი ქირა და დაზღვევა ხელმისაწვდომ ფასებში. მისამართი: თბილისში; განოვის ქ. № 8. ბაქოში ჯაფარიძის ქ.

ნ. 1173 4—1

ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო ქვეგანყოფილება

აცხადებს აგარაკების დამქირავებელთა საყურადღებოთ, რომ ის პირები, რომელთაც მიღებული აქვთ ორდერები, ხოლო ხვედრი ფასი ჯერ არ [illegible] და ისინი, ვისაც სახელზედაც გადარიცხულია აგარაკები, ვალდებული არიან ა. წ. 31—მაისამდე შეიტანონ ალმასკომის სალაროში

ხვედრი ფული

და ქვითარი წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე გაცემული აგარაკები გაიცემა სხვა პირებზე საერთო წესით.

საკურორტო ქვეგანყოფილება.

აუქციონი

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს რომ ა | წ. მაისის 30, დილის 10 საათზე ტფილისის [illegible] (გორის ქუჩა, რკინის გზის მახლობლად,) აუქციონით გაიყიდება ამიერ კავკასიის რკინის გზის სხვადასხვა სადგურებზე პატრონებს მიუკითხავი ტვირთები.

იქვე მაისის 31 გაიმართება მეორე საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიყიდება გაუყიდავად დარჩენილი ტვირთები. ქვემოთ აღნიშნული ნომრები, ტვირთების სახელწოდება, ადგილების და წონის რაოდენობა; დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სალიკვიდაციო საწყობში, ხოლო ვაჭრობის დღეს ვაჭრობის დაწყებამდე.

[illegible] ტვირთები: № 121528—მარილი [illegible] 25 ფუთი, 88 ფუთი და 36 გირ., № 16761—ნავთი 6 ადგ. 13 ფ. 10 გირ., გაწმენდილი ნიგოზი 1 ადგილი, 1 ფ 20 გირ., № 52236—გაწმენდილი ნიგოზი [illegible] 9 ფუთი 26 გირ., № 814617—ავტომობილის ნახმარი საბურავი [illegible] ცალი, № 1019—ყველი (მოთალი), 1 ადგ. 2 ფუთ. 37 გირ., [illegible] 23 გირ., № [illegible]—მზესუმზირას ზეთი 1 ცისტ. 690 ფუთი, № 54429—მზესუმზირას ზეთი 1 ცის. 811 ფუთ, № 115702—ცარცი 1 ვაგ. 914 ფუთი, № 115705—ფხვნილი ცარცი 1 ვაგ. 995 ფ. ნ. 1172 1—1

ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო ქვეგანყოფილება

აგარაკების დამქირავებელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ის პირები, რომელთაც აღებული აქვთ აგარაკების დაქირავების შესახებ ორდერები და გადასცემენ ამ ორდერებით დაქირავებულ აგარაკებს, საკურორტო ქვეგანყოფილების ნებადაურთველად, სხვა პირთ, რომელნიც აგარაკის დამქირავებლის მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფებიან,

პასუხისგებაში იქნებიან მიცემული

აგარაკის ჩამორთმევით და ხვედრი გადახდილ ქირის დაუბრუნებლად.

ნ. 1174 1—1 საკურორტო ქ | განყოფილება.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]

[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც [illegible] წამლობას საჭიროებენ

[illegible] ექ. სვიმონ ყიფშიძის [illegible]

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. 126—25—19

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და [illegible] დაავადებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეხ. 3. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. სად ბებუთოვის ქუჩა № 28.

895—25—22

დაიკარგა პირადობის მოწმობა ქალაქის მილიციიდან მიღებული ვერა [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალავერდი სუან ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1075 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 86 8 გიორგი [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1078 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი კავშირისა № 414947—8147, ალექსანდრე [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1071 1—1

დაიკარგა პასპორტი სტეფანე ჯაჯანაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1069 1—1

რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო

ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ხსენებული ბანკის

სრულიად საქართველოს კანტორა

გაიხსნება

ქალ. თბილისში ა. წ. 30 მაისს, დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის ყოფილ შენობაში, კეცხოველის ქუჩა № 5 (ყოფილი ლორის-მელიქოვის).

საქმეთა მმართველი კ. იაშვილი.

ნ. 1170 3—2

[illegible] „კომუნისტის" [illegible] ქ. № 4